

საზოგადოებრივი აუდიტორი
2017 წლის ანგარიში



სარჩევი

▶ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკა	3
▶ მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტები	10
▶ მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგი	18
▶ საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგები	20
▶ განხილული საჩივრების რაოდენობა და შინაარსი	25
▶ საზოგადოებრივი მაუწყებლის მომავალი წლის ბიუჯეტი	49
▶ საზოგადოებრივი მაუწყებლის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულება	50

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკა

საზოგადოებრივი მაუწყებელი საკუთარი პროგრამებით მიმართულია თავისი მისიის, მისწრაფებების და მიზნების აღსრულებისკენ. საპროგრამო პოლიტიკის კონცეფციის ფორმირებისას გამოიკვეთა შემდეგი ასპექტები, რომლებზეც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს.

მრავალფეროვანი მედიაპროდუქციისა და მომსახურების წარმოება და შეთავაზება:

- მაუწყებლის თანამშრომელთა კომპეტენციის ამაღლება და პროფესიონალი კადრების მოზიდვა
- მრავალფეროვანი აუდიტორიის ინტერესების დაკმაყოფილება
- სხვადასხვა სამაუწყებლო პლატფორმაზე ადაპტირება

ფასულობა დანახარჯებთან მიმართებაში:

- ხარჯების გამჭვირვალედ და ეფექტიანად მართვა
- მომხმარებელთა ქცევის შესაბამისად, ძირითადი დანახარჯების “პრაიმტაიმზე” მიმართვა
- მასშტაბისა და ფარგლების ეკონომია


აუდიტორიის მოზიდვა:

- სხვადასხვა სამაუწყებლო ერთეულების აგრესიული გამოყენება ერთმანეთის პროდუქციის რეკლამირებისათვის
- მომხმარებლის ქცევის გათვალისწინებით პროგრამირების აწყობა
- პროგრამირება კონკურენციის გათვალისწინებით

საზოგადოებრივი მაუწყებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარი მისწრაფებებისა და მიზნების განხორციელებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მრავალფეროვანი აუდიტორიის ინტერესების დაკმაყოფილებას სხვადასხვა უანრით, გაშუქებული თემატიკით, განსხვავებული ფორმატებით და იმ მოწყობილობებზე ადაპტირებით, რომლებიც მათთვის ყველაზე მეტად მისაღებია კონკრეტულ დროსა და ადგილზე.

საზოგადოებრივი მაუწყებელი, არსებული შეზღუდული რესურსის და მაღალი კონკურენციის პირობებში, რომელსაც კომერციული მაუწყებლები უწევენ ბაზრის წილით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარი ხარჯების ეფექტიან და გამჭვირვალე ხარჯვას; მომხმარებლის ქცევის შესაბამისად, საკუთარი რესურსების სწორ დროს და სწორ სამაუწყებლო პლატფორმაზე განთავსებას; პროდუქციის წარმოებისას მასშტაბისა და ფარგლების ეკონომიას.

მიზნები მიიღწევა შემდეგი ნაბიჯების გადადგმით:



საზოგადოებრივი მიზნების მიხედვით არ იმყოფება კონკურენციაში კომერციულ მიზნებთან ძირითადი ინტერესების სფეროში. თუ კომერციული მიზნების ინტერესს წარმოადგენს ფინანსური მოგება, მიზნების მიხედვით ორიენტირებულია, რომ მის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი სიკეთე საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ იყოს გაზიარებული. თუმცა, ამ ინტერესთა დაკმაყოფილებისათვის, როგორც ერთი, ასევე მეორე მედია პროვაიდერისათვის, უმთავრესია მაქსიმალურად ფართო აუდიტორიის მიზნად საკუთარი პროდუქციის გაცემა.

პირველი არხის გარდამავალი პერიოდის პროგრამირება

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, როგორც მაუწყებლის ფლაგმანი, ემსახურება ფართო აუდიტორიის ინტერესების დაკმაყოფილებას, მათთვის საჭირო და საინტერესო საკითხების გაშუქებით და აქტუალიზებით. ასევე, მან უნდა ასახოს და წარმოაჩინოს საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური, მსოფლმხედველობრივი, ღირებულებითი, კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნება. აღსანიშნავია, რომ მისი სამიზნე აუდიტორია არ არის მკვეთრად სეგმენტირებული. მაუწყებელი ისწრაფვის, აქციოს კარგი პროდუქტი პოპულარულად და პოპულარული - ხარისხიანად. პირველი არხის ეთერით ყურადღება ძირითადად უნდა გამახვილდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემების ღრმა და მრავალმხრივ განხილვა-გაშუქებაზე და დაკმაყოფილდეს აუდიტორიის ინტერესი შემეცნებითი ტიპის გადაცემებისადმი, მაყურებელს ასევე უნდა მიეწოდოს გასართობი სატელევიზიო პროდუქტი, შემეცნებითი ელემენტებით. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ოპერირებს პრინციპით: ინფორმირება, განათლება, გართობა. საუკეთესო შედეგისათვის მნიშვნელოვანია, რომ ინფორმირება განათლებისა და გართობის ელემენტებს შეიცავდეს, განათლება ინფორმირებისა და გართობის ფუნქციებს ითავსებდეს და, თავის მხრივ, გართობა ინფორმირებისა და განათლების კომპონენტებს ატარებდეს.

ინფრასტრუქტურულმა და ტექნიკურმა პრობლემებმა, მაუწყებელი თანხების დაზოგვისა და აკუმულირების აუცილებლობის წინაშე დააყენა.

აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბდა პირველი რიგის ამოცანები:

- ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიარაღება;
- არქივის ციფრულ მატარებელზე გადატანა;
- ინფრასტრუქტურის განახლება;
- რეგიონული ოფისების გახსნა;
- კადრების ოპტიმიზაცია;
- თანამშრომელთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა;
- მართვის ისეთი სისტემის დანერგვა, რომელიც ეყრდნობა შეფასების მკაფიო კრიტერიუმებს;
- მაყურებელზე ორიენტირებული პროგრამირების გაძლიერება.

შედეგად, არსებულმა რეალობამ მოიტანა გაცხადებული რეფორმის პერიოდში პირველი არხის გარდამავალ სამაუწყებლო ბადეზე გადასვლის აუცილებლობა.

გარდამავალ სამაუწყებლო ბადეში განთავსდება შეზღუდული რაოდენობის ორიგინალური სატელევიზიო პროდუქტი, გაიზრდება მექანიკური პროდუქციის წილი.

გათვალისწინებული იქნება სამეურვეო საბჭოს მიერ დადგენილი პროგრამული პრიორიტეტები, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები, ტელემედიაციის მართვის და ტელემედიაციის მართვის მანქანების მართვის ინფორმაციას მაყურებლის ქცევაზე გვაძლევს “ფიფთმეტრების” მონაცემების ანალიზი და რაოდენობრივი კვლევა, რომელიც მაუწყებლის დაკვეთით ჩატარდა.

რაოდენობრივი კვლევა


ტელეაუდიტორიის ქცევის მონაცემების კლასტერული ანალიზის შედეგად, ნახევარ-საათიანი დროითი შუალედები გაერთიანდა 21 სლოტში (ნაცვლად 45 დროითი სეგმენტისა).

თითოეული სლოტი ხასიათდება აუდიტორიის განსხვავებული სიდიდით და ტელეყურების პოტენციალით.


ბელაყურების დინამიკა:

ორშაბათი-პარასკევის განმავლობაში მაყურებლის გააქტიურება იწყება 8:00-დან 12:00-მდე სლოტში. 6:00-8:00 სეგმენტთან შედარებით, მომდევნო დროის ბოლში, აუდიტორია გაოთხმაგებულია, მაყურებლების რაოდენობა 33.5%-ს შეადგენს, რაც შემდეგ ნახევრდება.


12.00-14:00 პერიოდში ტელემაყურებელთა პროპორცია მცირდება 15.7%-მდე. 14:00 – 15:00 -დან მოყოლებული, 15:30 -17:30- ის ჩათვლით, აუდიტორია ზრდის ტენდენციას გვიჩვენებს და 15:30 – 17:30 დროის ბოლში აღწევს 23.8%-ს. ამის შემდეგ მოდის მცირე ჩავარდნა და 17:30-18:00 -მდე აუდიტორიის 17.3% რჩება ეკრანებთან. 18:00-18:30 -მდე ტელეყურების დინამიკა გადადის პროგრესულ რეჟიმზე და აგრძელებს ზრდას 21:00-21:30-ის ჩათვლით. 21:00-21:30-მდე პერიოდი ყველაზე დატვირთულია და მაყურებელთა პროპორცია აღწევს თავის პიკს - 70.2%-ს. მომდევნო ორი ბოლი უმნიშვნელოდ (თანმიმდევრულად) იკლებს; 22:30-23:00 პერიოდში აუდიტორია ხდება 49.8% და ამის შემდეგ კლების ტენდენცია უფრო საგრძნობი ხდება. ტელეყურების ყველაზე ნაკლებად დატვირთული ბოლია 01:00 - 06:00, ტელემაყურებელთა პროპორცია 5.5%-ს შეადგენს.



დილის ეთერში, შაბათ-კვირას, ისევე როგორც სამუშაო კვირის განმავლობაში, ყველაზე აქტიური ტელეყურების პერიოდი 08:00-დან 10:00-მდე გრძელდება. ორივე დღეს ამ ბოლის დატვირთულობის მაჩვენებლები ფაქტობრივად იდენტურია. პიკური დრო შაბათ-კვირის ეთერში 08:30-09:30-ია, ორშაბათ-პარასკევს კი 8:00-დან 9:30-მდე (თუმცა, შაბათ-კვირას აუდიტორიის მოცულობა ამ დროში ოდნავ აღემატება აუდიტორიის მოცულობას დროის იმავე მონაკვეთში სამუშაო დღეების განმავლობაში). კვირას 15:30-17:30-ზე აუდიტორიის მოცულობა უფრო მეტია, ვიდრე შაბათს იმავე ბოლში. კვირის ბოლო სლოტი იწყება ნახევარი საათით უფრო ადრე, ვიდრე შაბათს.



შაბათი



კვირა

აუდიტორიის სეგმენტები

სატელევიზიო აუდიტორიის ფსიქოლოგიური, ღირებულებითი და ცხოვრების სტილის მახასიათებლების შესწავლით გამოიყო 7 კატეგორიის სეგმენტი. განისაზღვრა არხის არარეგულარულ მაყურებლებს შორის არსებული პოტენციალი და რეგულარულ მაყურებლებს შორის შესაძლო დანაკარგის საშიშროება. ამ მონაცემების გათვალისწინებით, პირველი არხის მიზანია, გააფართოოს აუდიტორია, მოიცვას უფრო სრულად ყველა სეგმენტი.

რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ სატელევიზიო ბაზარზე არსებობს საკმაოდ მსხვილი სეგმენტი, რომელიც არ არის მიტაჭვული ერთ რომელიმე არხზე, ის შედარებით თავისუფალია არჩევანში და მისი მოცულობა დაახლოებით 53%-ია. საზოგადოებრივი მაუწყებლის აუდიტორიის ზრდა მოხდება, პირველ რიგში, ასეთი „თავისუფალი“ აუდიტორიის და კონკურენტი არხების რეგულარული მაყურებლის ბაზაზე.

აუდიტორიის მოთხოვნები


აუდიტორიის ძირითადი მოთხოვნა, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მიმართ არსებობს, არის ის, რომ იყოს:

- მასობრივი (პოპულარული, ლიდერი),
- პროდუქტიული (მრავალფეროვანი, გემოვნებიანი, ოპერატიული, შემოქმედებითი, აქტიური)
- შემოქმედი (ფინანსურად ძლიერი, ნოვატორი)

ახალი სატელევიზიო სეზონის დაგეგმვისას ძირითადი აქცენტი გაკეთდება ფრედ-ფრაიმ და ფრაიმტაიმის პროგრამირებაზე;

გადაცემებზე, რომლებიც არხს მაყურებლის რაოდენობის გაზრდაში დაეხმარება.

ბაღის ფორმირება მოხდება ჰვემთ წარმოდგენილი მიმართულებების მიხედვით:



მაუწყებლისთვის მნიშვნელოვანია სამაუწყებლო ბადეში ხარისხიანი სატელევიზიო პროდუქტის განთავსება. ამ მიზნით, მაუწყებელი დადგენილი პრიორიტეტებისა და მაყურებლის მოთხოვნების მიხედვით (რაც კვლევებით გამოიკვეთა), მიმართულებების ნაწილზე გამოაცხადებს ღია კონკურსს (იხ.დანართი), სადაც ნებისმიერ მსურველს (კვალიფიკაციის გათვალისწინებით) მიეცემა საშუალება, საკუთარი პროექტი წარადგინოს.

რაც შეეხება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმართულებას, საზოგადოებრივი მაუწყებელი საკუთარ ვალდებულებად მიიჩნევს, საქართველოს მოქალაქეებს და საქართველოს შესახებ ინფორმაციით დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს სანდო, გადამოწმებული და ხარისხიანი ინფორმაცია, მსოფლიოსა და რეგიონული მოვლენების კომპეტენტური მიმოხილვა და ანალიზი. ამგვარი გამოწვევა საზოგადოებრივი მაუწყებლის წინაშე უმთავრეს ამოცანად განსაზღვრავს რეპორტაჟული, ანალიტიკური და საგამოძიებო ჟურნალისტიკის განვითარებას, რაშიც იგეგმება ინვესტირება.

საზოგადოებრივის პირველ არხზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუები განიხილება, როგორც მაუწყებლის ოპერირების ერთ-ერთ უმთავრესი ფორმატი, სადაც შესაძლებლად მიიჩნევა საკუთარი პრიორიტეტების შესაბამისად ფართო აუდიტორიის ინტერესების წარმოჩენა და აუდიტორიის ჩართვა. პირველი არხი თოქ-შოუს ფორმატში, ყოველდღიურ რეჟიმში განიხილავს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს. ამასთან ერთად, კვირაში ერთხელ, აუცილებელია კვირის შემაჯამებელი, მასშტაბური, ინტერაქციული პროექტის განხორციელება.

სატელევიზიო პროდუქტის ხარისხის გასაუმჯობესებლად და ხარისხის მუდმივად შენარჩუნების მიზნით, შეიქმნება დაგეგმვისა და მონიტორინგის სისტემა, რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ წარმოდგენილი შეფასებათა შემდეგი სისტემით იხელმძღვანელებს:

- წვდომა
- ხარისხი
- გავლენა
- ფასეულობა დანახარჯთან მიმართებაში

მუდმივ რეჟიმში გაგრძელდება აუდიტორიის შესწავლა, რათა სატელევიზიო პროდუქტი განვითარდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ვალდებულებების გათვალისწინებით, მაყურებლის ინტერესებთან მუდმივ კორელაციაში.

2017 წლის აპრილში გამოცხადდება კონკურსი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის 2017-2018 წლების სამაუწყებლო ბადის შემადგენელ სატელევიზიო პროდუქტზე.

2017 წლის ივნისიდან დაიწყება გამარჯვებული პროექტების წარმოებაში ჩაშვება.

2017 წლის სექტემბრიდან საზოგადოებრივ მაუწყებელზე განთავსებულია “ევრობასკეტ 2017”, რომლის პერიოდშიც დაიწყება გარდამავალი პერიოდის ბადის შემადგენელი გადაცემების აქტიური ანონსირება.

პირველი არხის ახალი სატელევიზიო სეზონი დაიწყება 2017 წლის ოქტომბრიდან.

საზოგადოებრივი აუწყავლის პროგრამული პრიორიტეტების პროექტი (2015 - 2016)

საზოგადოებრივ მაუწყებელს, როგორც სამაუწყებლო ინსტიტუციას, კანონი ავალდებულებს: ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გადასცეს და ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი გახადოს პროგრამები, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და პოლიტიკურ პროცესებს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან, ხელს უნდა უწყობდეს ქართული სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და მოქალაქეთა კეთილდღეობის დონის ამაღლებას.

საზოგადოებრივი მაუწყებელი საჯარო დაფინანსებით მოქმედებს, ამიტომ იგი ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე.

„საქართველოს კანონი მაუწყებლის შესახებ“ უფლებას აძლევს და ავალდებულებს სამეურვეო საბჭოს, რომ მან საზოგადოებას საჯარო განხილვისთვის წარუდგინოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტების პროექტი /კანონის შესაბამისი მუხლებია: 16-ე, 20-ე, 21-ე, 33-ე, 55 (1) /

სამეურვეო საბჭოს მიერ განსაზღვრული პროგრამული პრიორიტეტები ეფუძნება რამდენიმე წყაროს: საქართველოს კანონმდებლობა, მაუწყებლის მიმართ დამოკიდებულების შესახებ ჩატარებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა, ქართულ მედიასთან და საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებული ალტერნატიული კვლევები, მედიისა და საზოგადოებრივი მაუწყებლობის სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილება.

აუწყავლოვის ზოგადი პრინციპები

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრები ამ დოკუმენტისთვის სავალდებულოდ მივიჩნევთ რამდენიმე, საფუძვლადმდებარე პრინციპს, რომელთა დაცვა ერთნაირად მნიშვნელოვანი და სავალდებულოა მაუწყებლის ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის:

■ **ჩართულობა:** საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა იყოს ასპარეზი, სადაც საქართველოს მოქალაქეები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე/პრობლემებზე მსჯელობენ და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლობას გრძობენ. ამით მაუწყებელი პიროვნების სამოქალაქო სივრცეში ინტეგრირებას დაეხმარება. საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა იყოს საზოგადოების ხმა საჯარო სივრცეში: უპირატესობა მიანიჭოს საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესებს, პრობლემებს და ღირებულებებს, პოლიტიკის

დღის წესრიგზე გავლენის მოხდენისკენ მიმართულ მათ მიზანსწრაფვას.

■ **მრავალფეროვნება და საყოველთაოობა:** საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა ასახოს საზოგადოებაში არსებული მსოფლმხედველობების, ინტერესებისა და იდენტობების მრავალფეროვნება. ამით იგი ხელს შეუწყობს კონსტრუქციული დიალოგის და განვითარებაზე ორიენტირებული, ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრებას.

პოლიტიკური პლურალიზმის წარმოსაჩენად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საკუთარი ეთერი უნდა დაუთმოს არა მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს, არამედ პოლიტიკასთან და პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებულ მრავალფეროვან შეხედულებებს: ექსპერტების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების და რიგითი მოქალაქეების პოზიციებს.

■ **ხარისხი და სანდოობა:** პროგრამებმა უნდა უპასუხოს მაღალი ხარისხისა და ეთიკური სტანდარტების მოთხოვნებს. ისინი უნდა გამოირჩეოდეს სანდოობით, მოქალაქეთა მიმართ პასუხისმგებლობით, რელევანტურობით და პროფესიონალიზმით.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა დაამკვიდროს ჟურნალისტიკა, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესების, აქტუალური თემების განხილვისას პლურალიზმისა და პროფესიონალიზმის პრინციპებით ხელმძღვანელობს, ენდობა და პატივს სცემს მოქალაქეთა პოზიციას და შეხედულებებს, გამორიცხავს საზოგადოების მანიპულაციას.

მაუწყებლის ჟურნალისტებისა და შემოქმედებითი ჯგუფების განვითარების ხელშესაწყობად მენეჯმენტმა უნდა ითანამშრომლოს მედია სტანდარტებზე და ჟურნალისტურ ეთიკის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, შეიმუშაოს და სრულყოს გაიდლაინები, რომლებიც მაუწყებელზე მაღალი პროფესიული სტანდარტების დამკვიდრებას მოემსახურება.

■ **კრეატიულობა და ინოვაციურობა:** მაუწყებელმა აუდიტორიას უნდა შესთავაზოს კრეატიული პროდუქტები, ახალი იდეები და იყოს ექსპერიმენტების და თამამი, ინოვაციური პროექტების პლატფორმა.

■ **დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა:** მაუწყებელი პოლიტიკური, კომერციული, იდეოლოგიური და სხვა გავლენისგან თავისუფლად უნდა არჩევდეს და ქმნიდეს პროგრამებს/თემებს, რითაც გარანტირებული იქნება მისი სარედაქციო დამოუკიდებლობა.

■ **ანგარიშვალდებულება:** იმისათვის, რომ თითოეულმა მოქალაქემ მიიღოს მისთვის მნიშვნელოვანი მომსახურება, მაუწყებელმა, საზოგადოების შესწავლის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს შესაბამისობა თავის მომსახურებასა და საზოგადოების მოთხოვნებს შორის, მათ შორის გადაცემების ჟანრების მიხედვით (საზოგადოებრივ-პოლიტიკური, შემეცნებითი, კულტურასა და საზოგადოებასთან დაკავშირებული, გასართობი და სპორტული, სერიალები და საბავშვო გადაცემები), მიწოდების არხების მიხედვით, გემოვნების მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემათა მონიტორინგმა შესაძლოა გამოავლინოს ღირებულებრივი პრეფერენციების ცვლილების ან კორექტირების აუცილებლობა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა განავითაროს მეთოდები და მიდგომები საზოგადოებაში არსებული განსხვავებული ჯგუფების გამოსავლენად და წარმოსაჩენად. ამ

მიზნით სამეურვეო საბჭოსთან უნდა ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც შეაფასებს მაუწყებლის პროდუქციას და პერიოდულ რეკომენდაციებს მოამზადებს.

თავისი მიზნების მისაღწევად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა ითანამშრომლოს საქართველოს კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამოქალაქო სექტორთან, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა დაცვაზე მომუშავე ჯგუფებთან და ინსტიტუტებთან /მათ შორის, სახალხო დამცველის ოფისთან/.

პროგრამული პრიორიტეტები

მოქალაქეებმა საზოგადოებრივი მაუწყებლისგან უნდა მიიღონ იმ ტიპის ინფორმაცია/ გადაცემები, რომლებიც მათ ყველაზე მეტად აინტერესებთ.

სოციოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი ტელემომხმარებელია.

ფაქტორულმა ანალიზმა მედიამომხმარებელი 4 ძირითად ჯგუფად დაყო. მათი პრეფერენციების შესაბამისად, პროგრამების თემატიკა ასე განაწილდა:

1. ახალი ამბები და მიმდინარე მოვლენები
2. შემეცნება, კულტურა და საზოგადოება
3. გართობა და სპორტი
4. სერიალები და საბავშვო გადაცემები

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა - ტელევიზიამ, რადიომ და ინტერნეტარხმა თანაბომადი მომსახურება უნდა გაუწიოს ამ ოთხ ჯგუფს.

მაუწყებლის პროდუქციის უანრი, ფორმატი, შინაარსი და მიწოდების არხები/დრო უნდა იყოს მიზნობრივად ორიენტირებული შესაბამისი აუდიტორიის გემოვნებასა და მოთხოვნილებებზე.

ვითვალისწინებთ რა ევროპის მაუწყებელთა კავშირის „ხედვა 2020“ რეკომენდაციებს, მიგვაჩნია: მაუწყებელმა უნდა შეიმუშაოს კროსჟანრული ფორმატები, რომლებიც დაეფუძნება პრინციპს „პოპულარული გავხადოთ კარგი პროგრამები და გავაუმჯობესოთ პოპულარული პროგრამები“, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მიმზიდველობის შენარჩუნებით, მეტი ფოკუსი გავაკეთოთ ღირებულებებზე დაფუძნებულ კონტენტსა და გამორჩეულ ჟანრებზე.

საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის სავალდებულო საჭარო ფასეულობების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს დოკუმენტალისტიკის ჟანრმა / იგულისხმება დოკუმენტური ფილმების სტუდიის მიერ წარმოებული პროდუქცია, აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებული, დოკუმენტური პუბლიცისტიკა და სხვა, რასაც თანამედროვე მედიაში უწოდებენ Factual-based formats/ მით უფრო, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტურ ფილმებს აქვთ საერთაშორისო წარმატება და მოქალაქეთა გამორჩეული ინტერესი და მოწონება.

ყველა ჯგუფში გამოიკვეთნენ ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მაუწყებელი ეთერს უნდა უთმობდეს ისეთ გადაცემებსაც, რომლებსაც შესაძლოა ბევრი მაყურებელი არ

ჰყავს, მაგრამ თავად მათ აინტერესებთ. ამ პრობლემის გადაჭრის ახალ შესაძლებლობებს იძლევა საზოგადოებრივი მაუწყებლის მულტიმედიური სისტემა. ამ დროს საეთერო რესურსი გადანაწილდება, როგორც უნივერსალურ/დიდი აუდიტორიისთვის განკუთვნილ, ასევე - ნიშურ, სპეციფიკურ პროდუქტზე.

1. ახალი ამბები და მიმდინარე მოვლენები

ამ ჯგუფის წარმომადგენელი მაყურებლისათვის (23 %) დამახასიათებელია მოთხოვნილება, რომ გადაცემებმა¹ პირველ ყოვლისა, რიგითი მოქალაქის პოზიცია ასახონ, შემდეგ - ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების და ექსპერტების შეხედულებები. მათთვის მნიშვნელოვანია შემეცნებითი, სოციალური, საქართველოს კულტურისა და წარსულის შესახებ გადაცემები, საგარეო და საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებული ახალი ამბები და ინფორმაცია.

ამ მიმართულების გადაცემების უზრუნველსაყოფად პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს შემდეგ საკითხებს:

1.1. საინფორმაციო გადაცემები /ახალი ამბები: მათი წარმოებისას უნდა დამკვიდრდეს ინფორმაციის შეგროვებისა და მიწოდების შემდეგი პრინციპები: ა) ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება და სანდოობა, ბ) ინფორმაციის მიწოდების ოპერატიულობა, გ) სოციალური პრობლემების ასახვა, დ) რიგითი მოქალაქის პრობლემების ასახვა, დ) საქართველოს განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების ასახვა, ე) საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ასახვა, ვ) მნიშვნელოვანი მოვლენების განხილვისას შეფასებათა/პოზიციათა მრავალფეროვნების ასახვა, თ) კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე პროცესების ასახვა, ი) საქართველოს რეგიონებში მიმდინარე პროცესების ასახვა, კ) საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული პროცესების ასახვა, ლ) უცხოეთში მიმდინარე მოვლენების ასახვა.

1.2. პოლიტიკურ-ანალიტიკური გადაცემები: მათ მოქალაქეებს საშუალება უნდა მისცენ გაეცნონ და მკაფიო წარმოდგენა შეიქმნან საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე: საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებების, ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობაზე, ქვეყნის ძირითად ორიენტირებასა და გამოწვევებზე, იმ საერთაშორისო მოვლენებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც საქართველოში მიმდინარე პროცესებთან კავშირშია ან გავლენას ახდენს მასზე.

- განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს შიდაწარმოების ორიგინალურ თოქ-შოუს, რომელიც განთავსდება პრაიმტაიმში და მასზე მიმართული იქნება მნიშვნელოვანი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი. თოქ-შოუებმა უნდა ასახონ თემების და შეხედულებების მრავალფეროვნება, რისთვისაც უნდა გაიზარდოს მათში რიგით მოქალაქეთა, სამოქალაქო აქტივისტთა, ექსპერტთა მონაწილეობის მოცულობა და ხარისხი.
- უნდა მომზადდეს სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებული დისკუსია, გენდერული, უმცირესობათა მონაწილეობისა და რეგიონული პრინციპების დაცვით. გადაცემათა თემების შერჩევასა სახელმძღვანელო უნდა იყოს არა სხვა მედია საშუალებების დღის წესრიგი, არამედ ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები /მაგ: ჭანდაცვა, მიგრაცია და ემიგრანტები, დევნილები,

1 აქ და შემდგომაც ცნება "გადაცემა/გადაცემები" გულისხმობს მაუწყებლის ტელე, რადიო, ინტერნეტ პროდუქციას

დასაქმება, ეკოლოგია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მიუსაფარი ბავშვები და მოხუცები, ძალადობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლები და სხვა/.

- განისაზღვროს და წარმოდგენილ იქნას 2015-2016 წლების მნიშვნელოვანი მოვლენების /პოლიტიკური, კულტურული, სპორტული/ გაშუქების კამპანიათა გეგმა.

1.3. ჟურნალისტური გამოძიება: განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჟურნალისტურ გამოძიებას, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის ვალდებულებას და კონკურენტულ უპირატესობას. გადაცემები უნდა მომზადდეს როგორც სატელევიზიო, ისე რადიო და ინტერნეტ ფორმატებში, შესაბამისი სპეციფიკის გათვალისწინებით. თემების შერჩევა უნდა მოხდეს არა მხოლოდ გახმაურებულ ამბებზე/შემთხვევებზე, არამედ იმ თემებზე, რომლებიც სამოქალაქო კულტურის, სამართლებრივი ცნობიერების, კანონის უზენაესობის, ხელისუფლების ანგარიშვალდებულების, ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხებს და სხვა სახელმწიფოებრივად და საზოგადოებრივად აქტუალურად თემებს გააშუქებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. წელიწადში უნდა მომზადდეს მინიმუმ 12 გადაცემა.

2. შიშვენება, კულტურა და საზოგადოება

კვლევამ აჩვენა, რომ მაყურებელთა დიდი სეგმენტი /33%/ შიშვენებით, საგანმანათლებლო, საქართველოს კულტურასა და წარსულთან დაკავშირებულ გადაცემებს მოისაკლისებს.

თუ გავითვალისწინებთ ამ პრეფერენციებს, საზოგადოებრივი მაუწყებლის როლსა და დანიშნულებას, მაუწყებლის ფონო და ვიდეო არქივს, როგორც უნიკალურ კულტურულ მემკვიდრეობას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ამ მიმართულების უზრუნველსაყოფად საჭიროა:

2.1. ისტორიული, ისტორიულ-პუბლიცისტური გადაცემები: ისინი თემატურად უნდა ასახავდეს საქართველოს წარსულს, ქართულ-ევროპული დიალოგის ისტორიას და ამ პროცესში მონაწილე მოღვაწეთა ამავს, ბოლშევიზმისა და საბჭოთა წარსულის შეფასებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

2.2. გადაცემები მეცნიერების და ტექნოლოგიის შესახებ: მეცნიერულად დადასტურებული და მეცნიერულ ცოდნაზე დამყარებული ადგილობრივი პროდუქციის შექმნა და უცხოური პროდუქციის ინტეგრირება სამაუწყებლო ბადეში, აქცენტით საგანმანათლებლო პროდუქციაზე, თანამედროვე ტექნოლოგიებზე.

2.3. გადაცემები ეკონომიკასა და ბიზნესზე: უნდა მომზადდეს გადაცემები, რომლებიც გააშუქებს ეკონომიკისა და ბიზნესის, სოფლის მეურნეობის საკითხებს: დაეხმარება მოქალაქეებს თანამედროვე ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების გააზრებაში, თანამედროვე ბიზნესგარემოს გაცნობაში, საკუთარი საქმის წამოწყებაში ან მეურნეობის რაციონალურ გაძღოლა-დაგეგმვაში.

2.4. გადაცემები მოქალაქეების შესახებ: მაუწყებელმა განსაკუთრებული ინტერესი უნდა გამოიჩინოს და აჩვენოს რიგითი მოქალაქის ბედი და ისტორია, რომელშიც ყველაზე ცხადად და ლაკონურად აისახება ქვეყანაში მიმდინარე პროცესები.

2.5. გადაცემები კულტურის შესახებ: ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროს /კინო,

თეატრი, მხატვრობა, მწერლობა, მეცნიერება, მუსიკა/ წარსულის და თანამედროვე ტენდენციების ასახვა. განსაკუთრებული აქცენტი საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ შექმნილ პროდუქციაზე /მაგალითად: სატელევიზიო თეატრი, რომლის მიერ შექმნილი ტელესპექტაკლები უნიკალურია ქართულ ტელესივრცეში/.

2.6. გადაცემები მრავალფეროვნების შესახებ: საქართველოს ეთნიკური, კულტურული, სოციალური, ენობრივი, რელიგიური მრავალფეროვნების ასახვა, ამ ჯგუფების ისტორიის, ყოფის, მათ მიერ ქართულ კულტურაში შეტანილი წვლილის, მათი თანამედროვე პრობლემების და ინიციატივების მაქსიმალური წარმოჩენით.

2.7. უცხოური კულტურის სხვადასხვა სფეროს /კინო, თეატრი, მხატვრობა, მწერლობა, მეცნიერება, მუსიკა/ ისტორიული და თანამედროვე ტენდენციების ამსახველი მხატვრული და დოკუმენტური მასალის მაქსიმალური ინტეგრირება.

2.8. ადამიანის უფლებებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებული საკითხების ასახვა: ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო სამოქალაქო პროცესები, ადამიანის უფლების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი, თანამედროვე ქართველი ავტორების მხატვრული და დოკუმენტური მასალის ინტეგრირება.

3. გართობა და სპორტი

მაყურებელთა 23.3%-ი მედიაში უპირატესობას გართობასა და სპორტს ანიჭებს. გარდა ამისა, მათ აქვთ შემეცნებითი, საქართველოს კულტურასა და ისტორიასთან დაკავშირებული გადაცემების ინტერესი, რაც საზოგადოებრივ მაუწყებელს ავალდებულებს:

3.1. შეიძინოს მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე ფილმები, რომლებიც კინომოყვარულთა მრავალფეროვან გემოვნებას და ინტერესს დააკმაყოფილებს.

3.2. უზრუნველყოს ხარისხიანი იუმორისტული და სატირული გადაცემების შექმნა.

3.3. უზრუნველყოს იმ სპორტული ასპარეზობების ტრანსლირება, რომლებიც ფართო საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს და ნაიციონალური ერთობის განცდას უწყობს ხელს.

3.4. შექმნას გადაცემები, სადაც წარმოდგენილი იქნება ქართული კულტურისთვის მნიშვნელოვანი და გარკვეული ისტორიის მქონე სპორტის სახეობები და სხვა ქვეყნების გამოცდილება, აქცენტით იმ სახეობებზე, რომელთა განვითარების პერსპექტივა არსებობს საქართველოში.

3.5. ეთერი დაუთმოს მნიშვნელოვან კულტურულ, მასობრივ, სანახაობრივ ღონისძიებებს /მუსიკალური კონცერტები, ლიტერატურული კონკურსები, ოლიმპიადები/, რომლებიც კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენას და ქართული კულტურის პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

3.6. უნივერსალურობის პრინციპიდან გამომდინარე, პრაიმთაიმის ეთერი დაუთმოს მაღალი ხარისხის, პოპულარულ მეგაშოუს, რომელიც, როგორც წესი, ფართო საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს.

3.7. მასობრივი ქორეოგრაფიული ან მუსიკალური კონკურსების ორგანიზებისას გამოიყენოს დაფინანსების საკუთარი წყაროები.

4. სერიალები და საბავშვო გადაცემები

სოციოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, სერიალებისა და საბავშვო გადაცემათა მოყვარულები ყველაზე დიდი ჯგუფია - 29%. მათ ამავე დროს აინტერესებთ შემეცნებითი, გასართობი, საქართველოს კულტურასა და სოციალურ თემებზე მომზადებული გადაცემები.

ამ ჯგუფის ინტერესების დასაკმაყოფილებლად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეიძლება გამოიყენოს რამდენიმე მიდგომა:

4.1. მოამზადოს სერიალი /მათ შორის - რადიოდრამა/, რომელიც უპასუხებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ვალდებულებებით აღიარებულ საჭარო ფასეულობებს, მიმართული იქნება ქცევის პოზიტიური მოდელების ჩვენებაზე ახალგაზრდობისთვის, მოზარდებისთვის, წყვილებისთვის, თაობათშორისი კონფლიქტების მოგვარებაზე, სოციალური ტოლერანტობის დანერგვაზე და სხვა.

4.2. შეიძინოს უცხოური, მაღალი ხარისხის პროდუქცია, რომელიც თანაბრად დააკმაყოფილებს საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის აუცილებელ სტანდარტებს და მოქალაქეთა შემეცნებით, საგანმანათლებლო და გასართობ ინტერესს.

4.3. ეთერი დაუთმოს ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის, მაღალი პედაგოგიური და ფსიქოლოგიური სტანდარტებით დამზადებულ პროდუქციას. ამ ჟანრის განვითარებას მაუწყებელი საკუთარ სტრატეგიულ პრიორიტეტად მიიჩნევს.

5. ინტერნეტარხი

ზემოთ მოცემული პრიორიტეტები თანაბრად ეხება მაუწყებლის ტელე, რადიო და ინტერნეტარხებს, მაგრამ ინტერნეტმომსახურების შესაძლებლობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნევთ საგანგებოდ შევჩერდეთ ამ არხზე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ინტერნეტმომსახურება მნიშვნელოვან, დამოუკიდებელ არხად უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც მომხმარებელს შესთავაზებს:

5.1. მაუწყებლის სხვადასხვა არხზე შექმნილ პროდუქციას მოსახერხებელი ფორმით.

5.2. სპეციალურად ინტერნეტარხისთვის შექმნილ პროდუქციას.

5.3. დაკავშირების, ურთიერთობის დამყარების, გაზიარების და კოპროდუქციის შექმნის შესაძლებლობას.

5.4. ნიშური პროდუქტების გარშემო ინტერესჯგუფების ფორმირების, პროდუქტიული თანამშრომლობისა და დიალოგის შესაძლებლობას.

აუწყავლის პარტნივა და ფინანსები

საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი უნდა მოხმარდეს პრიორიტეტებით განსაზღვრულ პროექტებს, მაუწყებლის ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას და ადმინისტრირების ფინანსურ უზრუნველყოფას.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტმა ბიუჯეტის ნაწილი უნდა მოახმაროს

ორგანიზაციის ინსტიტუციური მდგრადობის პროგრამის შემუშავებას. სტრატეგიული განვითარების დოკუმენტმა უნდა მოიცვას შემდეგი საკითხები:

- მაუწყებლის ერთეულებზე ბიუჯეტის გადანაწილების კრიტერიუმები და პროპორცია
- მაუწყებლის განვითარების მოკლევადიანი გეგმა
- მაუწყებლის განვითარების გრძელვადიანი გეგმა
- მაუწყებლის ტექნიკური გადაიარაღების გეგმა
- შესყიდვების პოლიტიკის კრიტერიუმები
- ადამიანური რესურსების დაკომპლექტებისა და მართვის სტრატეგია
- დოკუმენტი, სადაც განსაზღვრული იქნება ორგანიზაციის რესურსების (მატერიალური, ტექნიკური, ადამიანური) გამოყენების ტარიფები

მაუწყებლის გენერალური დირექტორი ვალდებულია სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს:

- პროგრამული ანგარიში, საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით
- წლიური ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიში სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული „სააღრიცხვო პოლიტიკის სრულყოფილი საფუძვლების“ მიხედვით
- საეთერო წლის დაწყებამდე ორგანიზაციის წლიური სამოქმედო გეგმა

მენეჯმენტმა მაუწყებლის ბიუჯეტის 1%-ზე მეტი ოდენობით დამატებითი სახსრების მოძიებისას სამთავრობო და სხვა წყაროებიდან, საქმის კურსში უნდა ჩააყენოს სამეურვეო საბჭო.

მაუწყებელი ხელმძღვანელობს პროგრამული პრიორიტეტებით - მაუწყებლის ნორმატიული დოკუმენტით, რომელსაც ქმნის და ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. ამჟამად მიმდინარეობს პროგრამული პრიორიტეტების პროექტზე მუშაობა. პროგრამული პრიორიტეტები მიიღება საჭარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

ახალი პროგრამული პრიორიტეტები, რომელიც განკუთვნილია სამწლიანი პერიოდისთვის და მოიცავს 2018-2020 წლებს, განსხვავდება წინამორბედი დოკუმენტისგან როგორც შინაარსით, ასევე სტრუქტურით. ეს ცვლილება განაპირობა მაუწყებელში მართვის ახალი, უფრო თანამედროვე მეთოდების დანერგვის პროცესმა.

ვინაიდან, მაუწყებელმა დროთა განმავლობაში უნდა აიმაღლოს ეფექტიანობა კანონით დაკისრებული ვალდებულებების უკეთ შესასრულებლად. იმ მომსახურების გაუმჯობესება, რომელსაც საზოგადოებისთვის აწარმოებს, მაუწყებელმა საკუთარი რესურსების საუკეთესო გადანაწილებით უნდა შეძლოს. შესაბამისად, მაუწყებლის მართვა უნდა ეფუძნებოდეს განვითარების სტრატეგიულ ხედვას, ხოლო ეს განვითარება იზომებოდეს ნათელი და გამჭვირვალე კრიტერიუმების მიხედვით. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი ასახავს მაუწყებლის შინაარსობრივი ვალდებულებების სრულყოფის რამდენიმე საკვანძო სტრატეგიულ პარამეტრს და იმ კრიტერიუმების ჩამონათვალს, რომლებითაც სამეურვეო საბჭო იხელმძღვანელებს ამ სტრატეგიული მიზნების მიღწევის შესაფასებლად.

3 მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგი

2017 წლის პირველი არხის საეთერო ბადაში განთავსებული იყო შემდეგი გადაცემები:

1. სიტყვების თამაში (შაბათ-კვირა; 11:00) - ეთერში შესვლის თარიღი - 08.04.2017
2. წიგნების თართ III სეზონი (შაბათ-კვირა; 16:30) - ეთერში შესვლის თარიღი - 11.03.2017
3. ეროვნული ლიგის მიმოხილვა (ორშაბათი; 23:00) - ეთერში შესვლის თარიღი - 06.03.2017
4. ყველა კითხვა (შაბათი 21:00) - ეთერში შესვლის თარიღი - 01.04.2017
5. ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ (შაბათი; 12:15) - ეთერში შესვლის თარიღი - 29.10.2017
6. ფერმა (კვირა; 12:15) - ეთერში შესვლის თარიღი - 28.10.2017
7. ილუზიონი (შაბათი; 23:00) - ეთერში შესვლის თარიღი - 28.10.2017
8. აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად (ორშაბათი-ხუთშაბათი; 21:30) - ეთერში შესვლის თარიღი - 06.11.2017
9. კვირის ინტერვიუ (წამყვანი - ირაკლი აბსანძე; პარასკევი; 21:30) - ეთერში შესვლის თარიღი - 10.11.2017
10. პირადი ექიმი (ორშაბათი-პარასკევი; 10:00) - ეთერში შესვლის თარიღი - 13.11.2017
11. საპარლამენტო არჩევნებისადმი მიძღვნილი გადაცემა „თვითმმართველობა“ - გადაცემა ეთერში გადიოდა ყოველდღე 21:00 საათზე; ეთერში შესვლის თარიღი - 18.09.2017

2018 წელს პირველი არხის საეთერო ბადას შემავთა შემდეგი გადაცემები:

1. რეალური სივრცე (პარასკევი; 19:00) - ეთერში შესვლის თარიღი 26.01.2018
2. წიგნების თართ (კვირა-შაბათი; 20:00) - ეთერში შესვლის თარიღი 03.03.2018
3. მარტივი ლოგიკა (ორშაბათი- სამშაბათი; 20:00) - ეთერში შესვლის თარიღი 26.02.2018





4. ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?! (ოთხშაბათი-ხუთშაბათი; 20:00) - ეთერში შესვლის თარიღი 28.02.2018
5. რანინა (პარასკევი; 20:00) - ეთერში შესვლის თარიღი 02.03.2018
6. ახალი კვირა (კვირა; 21:00) - ეთერში შესვლის თარიღი 04.03.2018
7. 42-ე პარალელი (შაბათი; 21:30) - ეთერში შესვლის თარიღი 03.03.2018
8. ხანმოკლე XX საუკუნე (ხუთშაბათი; 23:30) - ეთერში შესვლის თარიღი 01.03.2018
9. გურმანია (შაბათი; 19:00) - ეთერში შესვლის თარიღი 03.03.2018
10. აკუსტიკა (შაბათი; 23:45) - ეთერში შესვლის თარიღი 03.03.2018
11. ეროვნული ლიგის მიმოხილვა (სამშაბათი; 23:30) - ეთერში შესვლის თარიღი 13.03.2018

12. სპორტი 360 გრადუსით (ორშაბათი; 23:30) - ეთერში შესვლის თარიღი 02.04.2018
 ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ახალი სეზონიდან ეთერში განთავსდება ქართული სერიალი „ვაკანსია მკვლელისთვის“.

2017-2018 წ.წ. საეთერო სეზონი სრულდება 29 ივლისს და არხი გადადის საზაფხულო პროგრამირებაზე.

2018-2019 წ.წ. საეთერო სეზონი დაიწყება 10 სექტემბერს.

ახალი საეთერო სეზონის ბადეში მოაზრებულია დღეს არსებული ყველა გადაცემა.

ახალ სეზონზე ბადეში განთავსდება აკა მორჩილაძის საავტორო გადაცემა „იონას საქართველო“ (დასკვნით ფაზაშია), მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა სატელევიზიო პროექტებზე.

4 საზოგადოებრივი არხისა და სახანძრო გაზრის კვლევის შედეგები

2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, ქართულ ტელეზაზარზე ვითარება შეიცვალა. 2016 წლის რაოდენობრივი კვლევის მონაცემების მიხედვით, ქართულ ტელეზაზარზე ყველაზე მნიშვნელოვანი, ეფექტიანი ბრენდის პოზიცია უკავიათ ტელეკომპანიებს: „იმედი“, „რუსთავი 2“; „საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი“, „მაესტრო“; GDS; „კომედი არხი“. ასევე მნიშვნელოვან პოზიციაზეა უცხოური არხები.

მარჯვენალების მიხედვით, ქართული ტელეარხები რამდენიმე ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფში შედიან „რუსთავი 2“ და „იმედი“; სატელევიზიო ბრენდის მეორე ჯგუფში - „პირველი არხი“ და „მაესტრო“; მესამე ჯგუფში - GDS და „კომედი არხი“.


2017 წელს არხებს შორის ბაზრის წილის მიხედვით, შემდეგი სურათი ჩამოყალიბდა:

2016 წელი			
Imedi	25.3	Comedy TV	5.8
Rustavi2	24.2	TV Pirveli	0.8
Mastro	4.7	Palitra News	0.5
GDS	3.4	Iberia	0.6
Adjara	1.0	Chanel1	2.9
Kavkasia	0.3	Chanel2	0.7
Obiektivi	0.8		

2017 წელი			
Imedi	27.0	Comedy TV	4.3
Rustavi2	22.0	TV Pirveli	1.4
Mastro	1.5	Palitra News	0.7
GDS	4.2	Iberia	0.7
Adjara	0.7	Chanel1	2.2
Kavkasia	0.4	Chanel2	0.4
Obiektivi	0.5		


ყველაზე დიდი „დანაკლისი“ „მაესტროს“ აქვს - მისი აუდიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა ტელესერიალების მოყვარული ტელემაყურებელი. არხის ფორმატის ცვლილებამ გამოიწვია „მაესტროს“ აუდიტორიის გადინება სხვა არხებზე. შემცირდა „რუსთავი2“-ის და „კომედი ტვ“-ის ბაზრის წილი; უმნიშვნელოდ მოიკლო „პირველი არხის“ მარჯვენაებლმაც. ასევე, შეიცვალა GDS-ის მდგომარეობა. სარეიტინგო მონაცემების მიხედვით, 2017 წელს GDS შედარებით მაღალ პოზიციაზეა, 2017 წელს გაიზარდა „იმედის“ წილიც.


ქართულ სატელევიზიო ბაზარზე სიტუაციის ანალიზისთვის გასათვალისწინებელია ზოგადად ტელეაუდიტორიის კლების დინამიკა. 2016 წელთან შედარებით, 2017 წელს აუდიტორიამ მოიკლო თითქმის 6.2%-ით. აუდიტორიის კლება ყველაზე მეტად აისახა პრაიმ თაიმზე და დღის ეთერზე. დილის აუდიტორია (08:00-09:00) კი უმნიშვნელოდ გაიზარდა.



2017 წელს ყველაზე ასაკოვანი მაყურებელი ჰყავს ტელეკომპანია „ობიექტივს“ და „პალიტრა ნიუსს“; ყველაზე ახალგაზრდა - GDS-ს და „კომედი ტვ“-ს.

2017 წელს ტელეარხების აუდიტორია			
Units >>	AgeAverage	Units >>	AgeAverage
Channels	GEORGIA 4+	AJARA	44 years old
CHANNEL 1	45 years old	KAVKASIA	46 years old
CHANNEL 2	46 years old	OBIEKTIVI	49 years old
IMEDI	43 years old	COMEDY TV	41 years old
RUSTAVI 2	43 years old	TV PIRVELI	46 years old
MAESTRO	46 years old	IBERIA	46 years old
GDS	41 years old	PALITRA NEWS	48 years old





2017 წლის ნოემბერში საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკვეთით ჩატარდა საექსპერტო კვლევა, რომლის მიზანი იყო მაუწყებლის მიერ ახალი ამბებისა და მიმდინარე მოვლენების გაშუქების შეფასება. კვლევის შედეგების საფუძველზე, მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელიც გადაეცა მაუწყებლის მენეჯმენტს.

ახალი ტექნოლოგიების გავლენა


მაყურებელი უკვე აღარ არის პასიური და შეთავაზებული ტელეპროდუქციის უპირობოდ მიმღები. ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით გაეზარდა არჩევანის საშუალება. გარდა ამისა, მას შეუძლია, გადაახვიოს და სასურველი პროდუქცია მაშინ ნახოს, როცა მოისურვებს.

ახალმა შესაძლებლობებმა საკმაო გავლენა მოახდინა ტელეაუდიტორიის ქცევაზე. გადახვევის - დროში წანაცვლების ახალმა ფუნქციამ, ტელევიზორის ყურების შესაძლებლობები გააფართოვა. ტელემაყურებელს შეუძლია, მისთვის სასურველი გადაცემა ნახოს დღის და კვირის ნებისმიერ მონაკვეთში, გადაახვიოს მისთვის უინტერესო მონაკვეთი (მაგ. სარეკლამო ქრები) და სურვილის მიხედვით დააკომპლექტოს ტელეპროდუქცია. 2017 წლის სებონზე გადახვევის ფუნქციით ისარგებლა აუდიტორიის 11%-მა; აღსანიშნავია, რომ ამ ფუნქციას უფრო მეტად იყენებენ თბილისში, ვიდრე რეგიონებში. განსხვავებულია ასევე ტელეარხებისა და ტელეპროდუქციების გადახვევის მარჩენებელიც. ყველაზე ხშირად დროში წანაცვლების ფუნქციას იყენებენ სერიალების, მხატვრული ფილმების შემთხვევაში. არხებს შორის, ყველაზე მაღალი მარჩენებელი აქვს ტელეკომპანიას GDS.

Channels	Time Shifting View (%)	Channels	Time Shifting View (%)
TTV	11.0	AJARA	16.3
CHANNEL 1	15.5	KAVKASIA	17.0
CHANNEL 2	6.3	OBIKTIVI	3.1
IMEDI	10.9	COMEDY TV	10.2
RUSTAVI 2	14.6	TV PIRVELI	17.3
MAESTRO	9.0	IBERIA	7.2
GDS	28.4	PALITRA NEWS	2.1

2017 წლის სატელევიზიო სეზონზე, ძირითადი ქართული არხების მიერ შეთავაზებული სატელევიზიო გადაცემების წილი ტიპოლოგიების მიხედვით, შემდეგნაირად გადანაწილდა - ყველაზე დიდი დრო დათმობილი აქვს: მხ. ფილმებს - 25.2%; ტელესერიალებს - 17.7%; საინფორმაციო პროგრამებს - 20.8% და თოქ შოუებს - 19.7%;

ეს არის ის ოთხი ძირითადი მიმართულება, რითაც გაჯერებულია ტელეეთერი. თითქმის ყველა ტელეკომპანიის საეთერო ბადე, ძირითადად, ამ ტელეპროდუქციით არის შევსებული.



2017 წელს ტელეკომპანიებმა თავიანთი საეთერო დრო შემდეგნაირად გადაანაწილეს:

Channel	CHAN- NEL 1	IMEDI	GDS	RUS- TAVI 2	AJARA	COME- DY TV	OBIEK- TIVI	TV PIR- VELI	MAE- STRO	PAL- ITRA NEWS	IBERIA
Genre	Duration [hours %ver]										
INFORMATION	13.9	17.8	0.4	19.6	14.5	0.0	9.5	22.3	50.9	62.8	13.2
TALK SHOW	17.8	14.2	1.0	15.8	16.4	-	64.3	24.6	10.9	10.6	36.9
ENTERTAINMENT	3.5	4.9	0.2	4.8	1.7	54.7	-	3.4	0.1	0.6	1.5
COGNITIVE	7.4	0.2	0.2	0.1	10.7	0.0	20.2	1.8	5.7	15.9	3.3
SPORT	3.4	0.1	-	-	1.3	-	1.3	0.0	0.1	-	-
MUSIC	3.4	0.9	-	1.0	10.6	3.2	1.4	0.8	0.2	10.0	3.2
MOVIES	35.1	26.9	55.2	28.2	36.9	40.6	-	38.7	3.7	0.0	15.8
SERIAL	14.9	34.9	43.0	30.6	4.7	1.4	-	7.6	28.3	-	19.1
OTHER	0.6	0.1	0.0	0.0	3.2	0.0	3.4	0.8	0.1	0.1	7.0

2017 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო მზადება ახალი სეზონისთვის. კვლევების საფუძველზე განისაზღვრა პროგრამული პრიორიტეტები, დაიგეგმა და გამოცხადდა გადაცემის და სერიალების შესარჩევი კონკურსები.

მომავალი სეზონის სატელევიზიო ბადის ძირითადი სტრატეგია განისაზღვრა ტელემყურებელთა სამომხმარებლო სეგმენტების მოთხოვნებთან შესაბამისად. ამ მოთხოვნების მიხედვით მაუწყებლობის ძირითადი ორიენტირი გახდა შემეცნებითი, საბავშვო და ახალგაზრდული მიმართულებები.

ახალი სეზონისთვის მზადების პროცესში შეჩერდა გასული სეზონის გადაცემების ნაწილი და ჩანაცვლდა მექანიკური პროდუქციით, რომელიც ასევე შეირჩა საზოგადოებრივი მაუწყებლის გაცხადებული ღირებულებების და პრიორიტეტების საფუძველზე. დოკუმენტური სერიალების ხარჯზე გაიზარდა შემეცნებითი მიმართულების წილი.

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2017 წლის განმავლობაში სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ წარმოდგენილია შემდეგი ადმინისტრაციული საჩივრები:

1. 2017 წლის 31 მარტს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურ დირექტორს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ორგანიზაცია ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ (შემდგომში - „ორგანიზაცია“). საჩივარში აღნიშნული იყო, რომ ორგანიზაციამ საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით, 2017 წლის 14 თებერვალს განცხადებით მიმართა სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადაში ორგანიზაციას სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისგან“ ინფორმაცია არ მიუღია. შესაბამისად, ორგანიზაციამ ადმინისტრაციული საჩივრით მოითხოვა, გაიცეს ის ინფორმაცია, რომელიც მის მიერ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისგან“ იყო მოთხოვნილი 2017 წლის 14 თებერვლის განცხადებით.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა და დაევალა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის“ 2017 წლის 14 თებერვლის განცხადებით გამოთხოვილი და სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ დაცული საჯარო ინფორმაციის გადაცემა.

2. 2017 წლის 18 აპრილს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა მოქალაქე გ.ი-მბ, რითაც მოითხოვა, ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს დაევალოს, მიაწოდოს გ.ი-ს სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 15 სექტემბრამდე გამოცემული ბრძანება გ.ი-ს სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ მე-2 არხიდან გათავისუფლების შესახებ.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება გ.ი-ს არ გაუსაჩივრებია.

3. 2017 წლის 16 მაისს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა მოქალაქე გ.ი-მბ, რითაც მოითხოვა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს დაევალოს, მიაწოდოს გ.ი-ს შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულსაკითხთან დაკავშირებით, გ.ი-ს მიღებული ჰქონდა შესაბამისი განმარტებები საზოგადოებრივი მაუწყებლისგან. გარდა ამისა, სამეურვეო საბჭოს მიერ გ.ი-ს განმარტა იმის შესახებ, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ქმედება

უნდა გასაჩივრდეს არა სამეურვეო საბჭოში, არამედ ზემდგომ თანამდებობის პირთან ან სასამართლოში. აღნიშნულთან დაკავშირებით გ.ი-მა დადგენილ ვადაში არ წარუდგინა სამეურვეო საბჭოს წერილობითი მოსაზრებები. შესაბამისად, ადმინისტრაციული საჩივარი დარჩა განუხილველი.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ საფუძველზე, სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოს 2017 წლის 31 მაისს წერილობით/საჩივრით მიმართა შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრის“ გენერალურმა დირექტორმა პირველი არხის ეთერში საინფორმაციო გამოშვებაში გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით. საჩივარში აღნიშნული იყო, რომ გადაცემაში საუბარი იყო კომპანიის მხრიდან შრომითი უფლებების დარღვევის შესახებ, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს და არის ცრუ ინფორმაციის გავრცელება. საბოლოოდ, შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრმა“ მოითხოვა, სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ გააკეთოს სატელევიზიო განმარტება გავრცელებული ცრუ ინფორმაციის უარსაყოფად.

საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრის“ მიერ არ გასაჩივრებულა.

ადამიანური რესურსების მართვის სასახური

- 2015 წლის მაისში მაუწყებლის განვითარების სტრატეგიის დამტკიცების შემდეგ, ამავე წლის 5 ოქტომბერს მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ (გენერალური დირექტორის წარდგინებით) მიღებული იყო გადაწყვეტილება (#301) დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა მაუწყებლის სტრუქტურის ახლებურად განსაზღვრას.

მაუწყებლის სტრუქტურის შეცვლის შედეგად განსახორციელებელი სამუშაოების/პროცესების შესასრულებლად 2015 წლის 6 ოქტომბრიდან გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი და დაიწყო ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების პროცესი, რომელიც ამჟამადაც გრძელდება.

ამავე პერიოდში დაიწყო ახალი სტრუქტურის შესაბამისი საჭირო ადამიანური რესურსების - თანამშრომლების პოზიციების-თანამდებობების აღწერილობების და სტრუქტურული ერთეულების დებულებების შემუშავება. დაიწყო მუშაობა არსებული პროგრამული პრიორიტეტებით დეკლარირებული დებულებების და დამტკიცებული სტრატეგიის პრინციპების რეალიზაციისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსების განსაზღვრაზე, ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაზე, როგორც სამოქმედო დოკუმენტზე, რომელიც სხვადასხვა საკადრო საკითხს მოიცავს. პარალელურად დაიწყო მუშაობა საშტატო განრიგის პროექტზე, რომელიც დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს, ასევე თანამდებობრივი პოზიციების შესაბამისი სახელფასო განაკვეთების რანჟირების სისტემაზე.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს დებულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად განსაზღვრული ახალი სტრუქტურის დანერგვის შედეგად ასევე გამოიკვეთა რიგი სტრუქტურული ერთეულის გაერთიანების და სისტემის გამარტივების შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მაუწყებლის გენერალური დირექტორის ინიციატივით და სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებით, 2017 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულებაში, კერძოდ კი, სტრუქტურაში დამატებითი ცვლილებები შევიდა. მოცემული პროცესის შედეგად შრომითი ხელშეკრულება შეუწყდა 13 თანამშრომელს.

- 2016 წლიდან საზოგადოებრივი მაუწყებელი გადავიდა პროექტულ სისტემაზე, რაც გულისხმობდა მაუწყებლის თანამშრომლებისგან ფორმირებული შემოქმედებითი ჯგუფების კომპლექტაციას მაუწყებლის მიერ წარმოებული პროექტების/გადაცემების შესაბამისად. 2017 წლის ივლისში, მიმდინარე სეზონის დასრულების საფუძველზე რიგი პროექტების ეთერში განთავსების შეწყვეტის შედეგად შრომითი ხელშეკრულება ვადის გასვლის გამო შეუწყდა 17 თანამშრომელს, ხოლო განუსაზღვრელი ვადით მოქმედი შრომითი ხელშეკრულება შეუწყდა 21 თანამშრომელს.
- 2017 წელს დამუშავდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ტექნიკური გადაიარაღების გეგმა, რომლის ფარგლებში სრულდება მთელი რიგი სამუშაოები, მათ შორის მომზადდა და განხორციელდა ავტოპარკის განახლების გეგმა. შექნილი იყო ახალი სატრანსპორტო საშუალებები, რასაც ასევე მოჰყვა ავტოპარკის მენეჯმენტ სისტემის შეცვლა. დამუშავდა და დამტკიცდა მაუწყებლის ავტოპარკის მძღოლებისთვის და შესაბამისად, მათი მგზავრებისთვის უფლება-მოვალეობების შესრულების დამატებითი რეგულაციები.
- 2017 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლების მუშაობის ეფექტიანობის და თავისი საქმიანობიდან მაქსიმალური ეფექტის მიღებაში მატერიალური დაინტერესების ამაღლების, თავისი საქმიანობის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, გენერალური დირექტორის ინიციატივით, შემუშავდა და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით დამტკიცდა საზოგადოებრივ მაუწყებელში დასაქმებულ პირთა პრემირების წესი.
- 2017 წელს დამუშავდა ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა ინტეგრაციის პროექტი, რომლის ფარგლებში ახლებურად, მაგრამ არა ფორმალურად, შესრულდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება, მაუწყებელმა „სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები“. ამავ სტრატეგიის ფარგლებში დაიგეგმა, ამოქმედდეს პირველ ეტაპზე ორენოვანი ინტერნეტ-რადიო (აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე), რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების დასაქმება. საზოგადოებრივ მაუწყებელში გაიხსნა პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“, რომლის გუნდი დაკომპლექტებულია სწორედ ამ პრინციპით.

ახალი და მიმდინარე ამაგვის ბლოკი

საანგარიშო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის წინაშე დასმული ამოცანების და პროგრამული პრიორიტეტების შესრულების კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტეგრირებული ნიუსრუმის სახელმძღვანელოს იმპლემენტაცია, ახალი ფორმატის „მოამბე“ 21:00 საათზე, ახალი თოქ-შოუები და განახლებული ვებ-

პლატფორმა. ასევე აღსანიშნავია თვითმმართველობის არჩევნების გაშუქება.

საანგარიშო პერიოდში ამუშავდა ახალი ფორმატის საინფორმაციო გამოშვება „მომბე“ 21:00 საათზე. ახალმა ფორმატმა სოციალური პრობლემების, მონყვლადი ჯგუფების საჭიროებების, რიგითი მოქალაქის პრობლემების და სხვა არამეინსტრუქციული საკითხების ღრმა და მრავალმხრივი გაშუქების საშუალება მოგვცა.

ანალოგიური შესაძლებლობები მოგვცა ახალმა თოქ-შოუებმა „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“ და „კვირის ინტერვიუ“. არამეინსტრუქციული თემატიკა ტრადიციულად შუქდება რადიო პირველი არხის გადაცემებში: „უფლება და თავისუფლება“, „ჩვენი საქართველო“, „ეკომეტრი“, „ღია სტუდია“ და სხვ.

თოქ-შოუები ასახავენ თემების და შეხედულებების მრავალფეროვნებას. ეს გადაცემები სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებული დისკუსიებისთვის კარგ პლატფორმას წარმოადგენს.

ქვეყნის პოლიტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია თვითმმართველობის არჩევნები და საკონსტიტუციო რეფორმა. ორივე თემას პირველი არხის საინფორმაციო სამსახურმა და თოქ-შოუებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს. გარდა ამისა, თვითმმართველობის არჩევნებს პირველმა არხმა დაუთმო პროექტი „თვითმმართველობა 2017 - ჩვენ მოვდივართ თქვენთან“. არჩევნებს ცალკე პროექტები დაეთმო რადიო პირველი არხის ეთერშიც.

გრძელდება საგამომძიებო ჟურნალისტიკის პროექტი „გამომძიებელი რეპორტიორი“.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარე პროექტების ფარგლებში გასული გადაცემების რაოდენობა ასე გამოიყურება:



პირველი არხი

- აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად - 32 გადაცემა
- კვირის ინტერვიუ - 9 გადაცემა
- სპორტის დაფა - 264 გადაცემა
- გამომძიებელი რეპორტიორი - 5 ფილმი (კიდევ 2 ფილმი ვებგვერდზე განთავსდა)

რადიო პირველი არხი

- ღია სტუდია - 257 გადაცემა
- საღამოს პიკის საათი - 240 გადაცემა
- ესტაფეტა - 310 გადაცემა

- ჩვენი საქართველო - 44 გადაცემა
- უფლება და თავისუფლება - 46 გადაცემა
- ეკომეტრი - 48 გადაცემა

საანგარიშო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკმა გააგრძელა ინტეგრირებული ნიუსრუმის სახელმძღვანელოს იმპლემენტაცია.

საანგარიშო პერიოდში პირველი კორპუსის მესამე სართულზე დასრულდა ახალი ნიუსრუმის სარემონტო და სამონტაჟო სამუშაოების ძირითადი ნაწილი. ამუშავდა მაუწყებლის ახალი ვებ-გვერდი, რომლის მთავარი გვერდიც ახალ ამბებს ეთმობა. 1tv.ge აერთიანებს მრავალ არხს და წინ წამოწევს კონტენტს.

საანგარიშო პერიოდში მენეჯმენტმა დაიწყო გრძელვადიანი მატერიალურ-ტექნიკური გადაიარაღების გეგმის განხორციელება. მასშტაბური გადაიარაღების აუცილებლობა გამოწვეულია მძიმე ტექნიკური მდგომარეობით, რომელიც პირველ რიგში, საინფორმაციოს სამსახურის მუშაობაზე აისახება.

საანგარიშო პერიოდში მაუწყებელმა შეიმუშავა პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“ და დაიწყო მისი განხორციელება. მისი მიზანია, ეთნიკური უმცირესობებისთვის აწარმოოს მედიაპროდუქტი მათსავე მშობლიურ ენაზე. მეორე მხრივ, მოხდება ეთნიკური უმცირესობების თემატიკის ქართულ მედიასივრცეში ინტეგრირება. გაფორმდა შესაბამისი თანამშრომლობის მემორანდუმი ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან.

1. სიახლეები

1.1. ინტეგრირებული ნიუსრუმის სახელმძღვანელოს იმპლემენტაცია

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკმა გააგრძელა ინტეგრირებული ნიუსრუმის სახელმძღვანელოს იმპლემენტაცია. სრულფასოვნად ამუშავდა ახალი სტრუქტურა, დაინერგა ახალი სარედაქციო სტრატეგია და ინტეგრირებული სარედაქციო პროცესები, კონტენტი სამივე პლატფორმაზე (ინტერნეტი, რადიო, ტელევიზია) ახალი სტრატეგიით ნაწილდება.

მიმდინარეობდა მუშაობა სახელმძღვანელოს ორ მნიშვნელოვან მიმართულებაზე - ახალი ამბების დროებით ინტერფეისის სისტემის დანერგვასა და ერთიანი ნიუსრუმის სივრცის შექმნაზე.

დაინერგა რამდენიმე მარტივი ინტერფეისი, რაც ერთიან სივრცეში დაგეგმვის და წარმოების (ნაწილობრივ) საშუალებას გვაძლევს. მომავალში ის ჩანაცვლდება სისტემით, რაც ერთიან სივრცეში დაგეგმვის, წარმოების, გაზიარების, გავრცელებისა და დაარქივების საშუალებას მოგვცემს. ყველაფერი თავმოყრილი იქნება ერთ ადგილას, ასევე ხელმისაწვდომი ყველა პლატფორმისთვის, რაც შექმნის ეფექტიანი მუშაობის შესაძლებლობას.

ნიუსრუმის ერთიანი სივრცე ინტეგრაციის და სახელმძღვანელოს იმპლემენტაციის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. გრძელვადიანი პროექტი გულისხმობს მაუწყებლის სხვა შენობაში გადასვლას, თუმცა ახალი ნიუსრუმი რამდენიმე წლის შემდეგ ამოქმედდება და დღის წესრიგში დადგა დროებითი გადაწყვეტის აუცილებლობა. საანგარიშო პერიოდში პირველი კორპუსის მესამე სართულზე დასრულდა ახალი

ნიუსრუმის სარემონტო სამუშაოები.

მაუწყებელმა შეიძინა სპეციალური მაგიდები, დამონტაჟდა ელექტროგაყვანილობა, საკაბელო ქსელი და განათების სისტემები. ნიუსრუმის ძირითადი სივრცე დაიბრუნდა შემუშავებული დიზაინის მიხედვით. ნიუსრუმის ახალი სივრცე სრული დატვირთვით საანგარიშო პერიოდში ამუშავდა.

ნიუსრუმის სახელმძღვანელო მოიცავს ახალ სარედაქციო სტრატეგიას, სახელწოდებით „პირველ რიგში, ციფრული“. ეს სტრატეგია არის პასუხი თანამედროვე ტენდენციებსა და გამოწვევებზე. საზოგადოებრივმა უნდა დაიმკვიდროს ლიდერის პოზიცია საქართველოში და გახდეს წამყვანი მულტიმედია ციფრული ახალი ამბების მაუწყებელი მის ყველა არსებულ პლატფორმაზე. ამ მიზნის მისაღწევად ამოქმედდა ახალი ვებ-გვერდი და მობილური აპლიკაცია.

1.2. განახლებული ვებ-პლატფორმა

ტრადიციული მაუწყებლის მულტიმედია ბრენდად გარდაქმნის გზაზე უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ახალი ამბების მობილურისთვის ადაპტირებული ვებ-პლატფორმის შექმნა და განვითარება. საანგარიშო პერიოდში ამუშავდა მაუწყებლის ახალი ვებ-გვერდი, რომლის მთავარი გვერდიც ახალ ამბებს ეთმობა. 1tv.ge ადაპტირებულია ყველა ტიპის მოწყობილობისთვის. 1tv.ge გათვლილია მრავალფეროვან მომხმარებელსა და ინფორმაციის მიღების მრავალ მეთოდზე - კითხვა, მოსმენა, ყურება, ანალიზი და სხვ.


უპირველეს ყოვლისა, 1tv.ge გულისხმობს მნიშვნელოვან ახალ ამბებს და მათ განახლებას, ახალ ციფრულ თხრობას, ციფრულ ინფოგრაფიკებს, მულტიმედია ინტერაქტიულ მონაცემთა ვიზუალიზაციას.

მრავალფეროვანი რუბრიკები, აუდიოიხალე, ფოტოგალერეა, პირდაპირი ჩართვები საქართველოდან და უცხოეთიდან — ეს პირველი არხის განახლებული საიტის მახასიათებელთა მხოლოდ მცირე ჩამონათვალია.

პირველად საქართველოში ვებპლატფორმა მკითხველს შვიდ ენაზე სთავაზობს ახალ ამბებს. ქართულისა და ინგლისურის გარდა, ვებგვერდზე ახალი ამბები ვრცელდება აფხაზურად, სომხურად, აზერბაიჯანულად, ოსურად და რუსულად.

ინფორმაციის შვიდენოვანი უწყვეტი ნაკადის გარდა, 1tv.ge უზრუნველყოფს ინფორმაციის





გავრცელებას შუმ პირებისთვისაც. აუდიო სიახლის ღილაკზე ერთი დაჭერის შემდეგ, ავტომოსაუბრე თავად წაგიკითხავთ საიტზე გამოქვეყნებულ ყველა ამბავს. ეს ფუნქცია კონტენტს ხელმისაწვდომს ხდის მცირემხედველი მომხმარებლებისთვის. ამ ფუნქციის სამიზნე ჯგუფს ასევე წარმოადგენს აუდიტორიის ის ნაწილი, რომლისთვისაც ახალი ამბების მოსმენა უფრო მოსახერხებელია (მაგ. ტრანსპორტის ტარების, ან ვარჯიშის დროს).

ახალ საიტზე განთავსებულია პროგრამა „მოამბის“ ახალი ამბების მრავალწლიანი არქივი კატეგორიების მიხედვით, რომელსაც ახლავს ფოტო და ვიდეო მასალა, ასევე სხვადასხვა გადაცემების

ვიდეოარქივი, პოლიტიკური თოქ-შოუებიდან საინტერესო მონაკვეთები, პირდაპირი ეთერი ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით.

საიტზე განთავსებული ახალი ამბების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, საზოგადოებრივი მაუწყებელი მომხმარებელს სთავაზობს ახალი ამბების მობილურ აპლიკაციას Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის. აპლიკაციის ძირითად ფუნქციურ და პროგრამულ მხარეზე მუშაობა დასრულებულია. ამჟამად ტესტირების პროცესი მიმდინარეობს.

პირველმა არხმა გააძლიერა აქტივობები სოციალური მედიის კუთხითაც. სპეციალურად პირველი არხის ფეისბუქპლატფორმისთვის მომზადებული კონტენტი თემატურად მრავალფეროვანია.

1.3. მატერიალურ-ტექნიკური გადაიარაღება

საანგარიშო პერიოდში პირველი არხის მენეჯმენტმა შეიმუშავა მაუწყებლის გადაიარაღების გეგმა და დაიწყო მისი განხორციელება.

გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს რეგიონული ბიუროები. საქართველოს რეგიონების თანასწორი და სრულფასოვანი რეპრეზენტატულობის მისაღწევად, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ყველა რეგიონში უნდა იყოლიოს კორესპონდენტი ან, სადაც ეს შესაძლებელია, ითანამშრომლოს ადგილობრივ მედიასუბიექტებთან.

საანგარიშო პერიოდში პირველი არხის ბათუმის ოფისის სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად ტენდერი გამოცხადდა. სატენდერო პირობების მიხედვით, ბათუმში პირველი არხის ახალი სტუდია 2019 წელს ამუშავდება.

საანგარიშო პერიოდში მაუწყებელმა შეიძინა ვიდეოკამერების 41 ერთეული კომპლექტი. ვიდეოკამერებთან ერთად კომპლექტში შედის შესაბამისი სადგამი, განათების სისტემა და რადიომიკროფონები.





საანგარიშო პერიოდში მაუწყებელმა ახალი ავტომობილები შეიძინა. 2017 წელს გამოშვებული 20 ერთეული „სუძუკი-ვიტარა“ ამორტიზებული ავტოპარკის დიდ ნაწილს ჩაანაცვლებს. „სუძუკი-ვიტარა“ მაღალი გამავლობისაა. მათი ნაწილი რეგიონულ ბიუროებს უკვე ემსახურება.

1.4. არჩევნების გაშუქება

ადგილობრივი თვითმმართველობის 2017 წლის არჩევნების ყოველმხრივი და მიუკერძოებელი გაშუქება, როგორც ახალი ამბების, ისე მიმდინარე მოვლენების კონტექსტში პირველი არხისთვის პრიორიტეტული ამოცანა იყო.

წინასაარჩევნო პერიოდში ინტეგრირებული ნიუსრუმი განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდა. აქცენტი გაკეთდა საარჩევნო სუბიექტების პროგრამების გაშუქებაზე. მაქსიმალურად გაშუქდა ყველა პარტიისა და კოალიციის საარჩევნო ღონისძიებები და განცხადებები. მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდა არჩევნების მონიტორინგზე.

არჩევნების სრულფასოვნად გაშუქების მიზნით პირველმა არხმა შეიმუშავა რამდენიმე პროექტი. წინასაარჩევნო დებატები „თვითმმართველობა 2017“ ტელე და რადიოს პირდაპირ ეთერში კვირაში სამჯერ გადაიცემოდა. პროექტი სულ 15 გადაცემას მოიცავდა, აქედან 4 თბილისიდან, დანარჩენი 11 გადაცემა - რეგიონებიდან გადაიცა.

პირველი გადაცემა დაეთმო ადგილობრივი არჩევნების არსისა და მნიშვნელობის განმარტებას. დანარჩენი 5 გადაცემა მერობის კანდიდატებს შორის დებატებს დაეთმო. პირდაპირი ეთერი გადაიცემოდა ბათუმიდან, ოზურგეთიდან, ფოთიდან, ზუგდიდიდან და ქუთაისიდან. პროექტი დასრულდა 19 ოქტომბერს თბილისის მერობის კანდიდატების დებატებით.

ყოველი გადაცემისთვის წინასწარ მომზადდა მასალები. „პროფაილები“ აუდიტორიას კონკრეტული მუნიციპალიტეტის შესახებ ზოგად ინფორმაციას აწვდიდა. ვიდეომასალებში კი კონკრეტული ადამიანები მოგვითხრობდნენ მათი პრობლემების შესახებ. წინასწარ მომზადდა ქუჩის გამოკითხვა ადგილობრივ მცხოვრებთათვის მტკივნეულ თემებზე. დებატების ძირითადი ნაწილი სწორედ მოქალაქეების მიერ გაულერებულ პრობლემატიკას და მათი გადაჭრის გზებს მიეძღვნა.

დებატებში მონაწილეებისთვის სალაპარაკო დრო ლიმიტირებული იყო. წინასაარჩევნო დებატების მოსმენა რადიოეთერთაც იყო შესაძლებელი.

წინასაარჩევნო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკმა კიდევ ორი რადიო პროექტი განახორციელა. 18 სექტემბრიდან 18 ოქტომბრის ჩათვლით, რადიო პირველი არხის გადაცემაში „ღია სტუდია“ (14:10-14:50) 12 კვალიფიციური სუბიექტის ლიდერები პირდაპირ ეთერში საუბრობდნენ რეგიონებში მერობისა და საკრებულოს წევრობის

კანდიდატებზე, საარჩევნო პროგრამებზე. რადიოპროგრამაში მონაწილეობდნენ პოლიტიკური სუბიექტების კანდიდატები.

გადაცემები გაიმართა ინტერვიუს ფორმატით და მისი თემები წინასწარ იყო ცნობილი.

მეორე პროექტი მიეძღვნა თბილისის მერისა და საკრებულოს არჩევნებს. 19 სექტემბრიდან 17 ოქტომბრის ჩათვლით, რადიო პირველი არხის გადაცემაში „სალამოს პიკის საათი“ (17:10-17:50) ცხრა კვალიფიციური (მათთან გათანაბრებული) სუბიექტის მერობის კანდიდატები ან სიის პირველი ნომრები საუბრობდნენ მათ საარჩევნო პროგრამებსა და კანდიდატებზე.

1.5. „მოამბე 21:00 საათზე“

საანგარიშო პერიოდში შევიდა ცვლილებები სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებების დროებსა და ფორმატში. დღეისთვის ახალი ამბები ტელეეთერში გადის შემდეგ დროებში: 09:00, 12:00, 15:00, 18:00, 21:00.

მთავარ სიახლეს წარმოადგენს „მოამბე 21:00 საათზე“ - სალამოს მთავარი გამოშვება, საინფორმაციო ტელეჟურნალი. მთავარი გამოშვება აუდიტორიას, მიმდინარე ახალ ამბებთან ერთად, რამდენიმე მნიშვნელოვან, აქტუალურ, კარგად დამუშავებულ და ყველა შესაძლო კონტექსტიდან დანახულ რეპორტაჟს სთავაზობს.

სალამოს მთავარი გამოშვების დროის ცვლილება უკავშირდება რამდენიმე მიზეზს. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა აუდიტორიის ქცევა, ამ დროისთვის ტელეაუდიტორიის აქტივობა აღმავალია, თუმცა პიკმა 21:00 საათისკენ გადაინაცვლა.

გარდა ამისა, ამ გამოშვების ერთ-ერთი ფუნქცია დღის მოვლენების შეჯამებაა. ხშირ შემთხვევაში კი დღის მოვლენების ნაწილი 20:00 საათისთვის დასრულებული არ არის.

ასევე განიხილებოდა 22:00 საათი, რაც ძირითადი საინფორმაციო გამოშვებებისთვის ევროპაში დამკვიდრებული დროა. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ 22:00 საათზე ქართულ აუდიტორიაში ნიუსის მოხმარება კლებულობს და უპირატესობა გასართობ კონტენტს ენიჭება.



1.6. ახალი გადაცემები

ნოემბერში პირველმა არხმა დაიწყო ორი ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“ და „კვირის ინტერვიუ“.

„აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“ პირველი არხის ეთერშია ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით, 21:30 საათზე. მისი ქრონომეტრაჟია 45 წუთი.



გადაცემის კონცეფცია უკავშირდება დღის, ან მიმდინარე პერიოდის მნიშვნელოვან, აქტუალურ საკითხს. გადაცემის მიზანია მნიშვნელოვანი და აქტუალური თემის ირგვლივ დამატებითი ინფორმაციისა და არგუმენტების მიწოდება მაყურებლისთვის; პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების მოძიება.

გადაცემაში მონაწილე მთავარი სტუმრები და მოწვეული სპეციალისტები შერჩეულები არიან მათი კომპეტენციის მიხედვით.

გადაცემამ მაყურებელს უნდა შეუქმნას მკაფიო წარმოდგენა თემის მნიშვნელობაზე, თემასთან დაკავშირებულ მთავარ პრობლემებზე.



„კვირის ინტერვიუ“ პირველი არხის ეთერშია ყოველ პარასკევს, 21:30 საათზე. წამყვანი – ირაკლი აბსანძე. ეს არის 27-წუთიანი ჰარდ თოქის ტიპის ინტერვიუ. წამყვანი სტუმარს მასთან დაკავშირებულ ყველა რელევანტურ და აქტუალურ შეკითხვას უსვამს და ცდილობს მიიღოს ამომწურავი პასუხი.

1.7. ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის მემორანდუმი

საანგარიშო პერიოდში პირველ არხსა და საქართველოს ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტის თანახმად, მხარეები თანხმდებიან ხანგრძლივ თანამშრომლობაზე და მიზნად ისახავენ თავისუფალი, დემოკრატიული, თანასწორუფლებიანი, სამართლებრივი სახელმწიფოსა და საზოგადოების ჩამოყალიბებაში საქართველოს ეროვნული და რელიგიური უმცირესობების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობას.

თანამშრომლობის მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მედია სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავდა საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლთა თანამშრომლობით.

პირველ რიგში, მემორანდუმი ახალი და მიმდინარე ამბების მუშაობაზე აისახება.

უმცირესობებთან მიმართებაში პრიორიტეტებს პირველი არხის ახალი შვიდენოვანი

ვებ-გვერდიც პასუხობს. ინგლისური და ქართული ენების გარდა, პირველი არხის საინფორმაციო ნაკადს შეგიძლიათ გაეცნოთ, აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

საანგარიშო პერიოდში მაუწყებელმა შეიმუშავა პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“. მისი მიზანია ეთნიკური უმცირესობებისთვის აწარმოოს მედიაპროდუქტი მათ მშობლიურ ენაზე. მეორე მხრივ, ეთნიკური უმცირესობების თემატიკის ქართულ მედიასივრცეში ინტეგრირება მოხდება.

1.8. გაშუქებული ექსკლუზიური და არამეინსტრუმული თემები

საანგარიშო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის წინაშე დასმული პროგრამული პრიორიტეტების შესრულების კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიახლე იყო ახალი ფორმატის „მოამბე 21:00 საათზე“ და ახალი თოქ-შოუები.

„მოამბე 21:00 საათზე“ გამოკვეთილად ორიენტირებულია ექსკლუზიური და არამეინსტრუმული თემების გაშუქებაზე. ასევე სიღრმისეული და არამეინსტრუმული გაშუქებას ემსახურება თოქ-შოუები „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“ და „კვირის ინტერვიუ“.

საგამოძიებო ჟურნალისტიკის მიმართულებაზე ასევე მუშაობს „გამომძიებელი რეპორტიორი“.

არამეინსტრუმული თემატიკა ტრადიციულად შექდება რადიო პირველი არხის ისეთ გადაცემებში, როგორებიცაა „უფლება და თავისუფლება“, „ჩვენი საქართველო“, „ეკომეტრი“, „ღია სტუდია“, „საღამოს პიკის საათი“ და სხვ.

2. დამოუკიდებელი პროგრამები და მათი მწარმოებლები

„ნამდვილი დრო“ (Настоящее Время) - პირველი არხის ეთერშია ორშაბათი – პარასკევი, 07:30-08:00. ახალი ამბების რუსულენოვანი სატელევიზიო გადაცემა წარმოადგენს „რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის“ ერთობლივ პროექტს, რომელიც ხორციელდება საქართველოში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, მოლდავეთსა და უკრაინაში მოქმედ საზოგადოებრივ და კერძო მაუწყებლებთან თანამშრომლობით.

„ვაშინგტონი დღეს“ - ამერიკის ხმის ქართული რედაქციის მიერ მომზადებული ტელეპროგრამა პირველი არხის ეთერშია ყოველ კვირა დღეს, 14:30-15:00 საათზე. ყოველკვირეულ ანალიტიკურ ტელეპროგრამაში მოისმენთ ამერიკელი და ქართველი ექსპერტების ანალიზს მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ და გაეცნობით ამერიკაში მცხოვრები ცნობილი ქართველების ისტორიებს.

„ამერიკის ხმა“ - რადიო პირველი არხის ეთერშია ყოველ დღე, 20:05-20:20 და 22:05-22:20. ამერიკის ხმის ქართული რედაქციის მიერ მომზადებული 15-წუთიანი საინფორმაციო გამოშვებებში მოისმენთ აშშ-სა და საქართველოში მიმდინარე ამბებს და მოვლენებს, ექსპერტულ შეფასებებს და ინტერვიუებს.

„ჯაზამერიკა“ - „ამერიკის ხმის“ ყოველკვირეული პროგრამა ჯაზზე. რას დევისის საავტორო გადაცემა ჯაზის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროგრამაა მსოფლიოში. „ჯაზამერიკა“ ინგლისურენოვანია, რის გამოც გვიან ღამით გადაიცემა.

3. პრობლემები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული შესყიდვების მიუხედავად, ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი კვლავ განიცდის ტექნიკური აღჭურვილობის და სატრანსპორტო საშუალებების დეფიციტს. არსებული პარკის დიდი ნაწილი მორალურად და ტექნიკურად მოძველებულია.

სერიოზულ პრობლემად რჩება რეგიონებში სრულფასოვანი ბიუროების ჩამოყალიბება და მათი აღჭურვა.

ჩატარებული სამუშაოების და მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, კვლავ პრობლემურია რადიოსიგნალის გავრცელების არეალი და ხარისხი, რაც დაკავშირებულია როგორც გადამცემების ნაკლებობასთან და მათ ტექნიკურ მდგომარეობასთან, ასევე საკანონმდებლო ბარიერებთან.

4. სამომავლო და მიმდინარე გეგმები

შემდეგ საანგარიშო პერიოდში დასრულდება ინტეგრირებული ნიუსრუმის სახელმძღვანელოს ძირითადი ნაწილის იმპლემენტაცია. ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი ელემენტი იქნება ახალი ნიუსრუმის ამუშავება.

ახალი ნიუსრუმი - ნიუსრუმში მიმდინარე ტექნიკური სამუშაოები 2018 წლის I კვარტალში დასრულდა და ახალი ამბების ნიუსრუმი ერთიან სივრცეში განთავსდა.

მობილური აპლიკაცია - 2018 წლის I კვარტალში საიტზე განთავსებული ახალი ამბების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, ამუშავდა პირველი არხის მობილური აპლიკაცია.

ახალი ტელეგადაცემები - პირველი არხი მუშაობს რამდენიმე ტელეპროექტზე, რომლებიც ეთერში მომავალ კვარტალში გავა. საუბარია ყოველკვირეულ ანალიტიკურ გადაცემაზე „42-ე პარალელი“, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკას მიეძღვნება. მომავალ კვარტალში ეთერში გავა კვირის შემატამბელი ტელეჟურნალიც - ახალი კვირა. მზადდება კიდევ ორი სადისკუსიო პროგრამა, რომლებიც მიეძღვნება მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ზოგად ღირებულებით საკითხებს.

განახლებული რადიოპროგრამები - მომავალ საანგარიშო პერიოდში მაუწყებელი სამაუწყებლო ბადეში შეიტანს ცვლილებებს. ამავე პერიოდში იგეგმება განახლებული პროგრამების ეთერში გაშვება, რაც ახალი და მიმდინარე ამბების რადიომიმართულების მუშაობაზეც აისახება.

„მრავალფეროვანი საქართველო“ - პროექტის მიზანია ეთნიკური უმცირესობებისთვის აწარმოოს მედიაპროდუქტი მათსავე მშობლიურ ენაზე. მეორე მხრივ, ეთნიკური უმცირესობების თემატიკის ქართულ მედიასივრცეში ინტეგრირება მოხდება. დაიწყო მზადება უმცირესობების ენებზე ონლაინ მაუწყებლობისთვის. პირველ ეტაპზე, მაუწყებლობა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე დაიწყება. ყოველ საათში გათვალისწინებულია საინფორმაციო გამოშვებები. 20:00 საათზე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ეთერში იქნება „მომამბე“, ასევე შემეცნებითი, გასართობი გადაცემები. დაგეგმილია შვიდი გასართობი გადაცემა, გადაითარგმნება და ვებპლატფორმაზე განთავსდება საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტები. დაემატება აფხაზური, ოსური და რუსულენოვანი პროექტებიც. „მრავალფეროვანი საქართველოს“

ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სხვა პროექტებიც.

ტექნიკური გადაიარაღება - იგეგმება სხვადასხვა ვიდეო, აუდიო და კომპიუტერული ტექნიკის, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა. გაგრძელდება ავტოპარკის განახლება.

გაგრძელდება მუშაობა რადიომაუწყებლობის გაუმჯობესებაზე. იგულისხმება როგორც ახალი გადაცემების და RDS სისტემების დაყენება, ასევე სიხშირეების მოდიფიცირება.

■ **პელია წარმოების პლოკი**

2017 წლის საანგარიშო პერიოდის პირველი კვარტალი გაცხადებული რეფორმის და რეფორმის ლეგიტიმაციის ეტაპი გახლდათ. შეგახსენებთ, რომ მაუწყებლის რეფორმის დაანონსებული გეგმა სამეურვეო საბჭომ არ დაამტკიცა, რის გამოც მედია წარმოების ბლოკს მხოლოდ 2017 წლის მეორე კვარტლიდან მიეცა სტრატეგიულ და ტაქტიკურ ამოცანებზე მუშაობის შესაძლებლობა. 2017 წლის მეორე კვარტალშივე განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაცია და დამტკიცდა ახალი სამოქმედო გეგმა. გეგმის მთავარ ნაწილს წარმოადგენდა სატელევიზიო პროდუქციის კონკურსის წესით არჩევა.

ტელეპროექტები:



კონკურსით შეირჩა და წარმოებაში ჩაეშვა სატელევიზიო გადაცემები:	კონკურსგარეშე შეირჩა და წარმოებაში ჩაეშვა სატელევიზიო გადაცემები:
პირადი ექიმი	ჰოპლა არქივი
ფერმა	ილუზიონი
რეალური სივრცე	მარტივი ლოგიკა
წიგნების თარო	რანინა
გურმანი	

სტრატეგიულ მიმართულებად დარჩა **საბავშვო-ახალგაზრდული მიმართულების განვითარება**. ამ მიზნით მედია წარმოების ბლოკი აწარმოებს შემდეგ სატელევიზიო პროდუქციას:

- გასართობ-შემეცნებითი გეიმშოუ - „ხარ თუ არა მეექვსეკლასელზე ჭკვიანი?“
- გასართობ-შემეცნებითი გეიმშოუ - „მარტივი ლოგიკა“
- საბავშვო-მუსიკალური მეგაშოუ - „რანინა“
- შემეცნებითი გეიმშოუ - „წიგნების თარო“

არსებული პროექტები ნათლად პასუხობს პროგრამულ პრიორიტეტებს - გართობა შემეცნების და აღზრდის სამსახურში. ასეთი ტიპის პროექტები სანახაობის და აზარტის გარდა ახალისებს და ხელს უწყობს ახალ თაობაში სწორი ფასეულობების განვითარებას.



„**ხარ თუ არა მეექვსეკლასელზე ჭკვიანი?**“ - გეიმშოუ ამერიკული კომპანია Metro Goldwyn Mayer-ის პროექტია, რომელიც დღემდე მსოფლიოს 55 ქვეყანაში განხორციელდა და ყველგან დიდი პოპულარობა მოიპოვა. ეს არის გეიმშოუ, სადაც ყველაფერი სკოლასთან, სწავლასთან და სკოლის პერიოდთან ასოცირდება. სტუდიაც საკლასო ოთახის პრინციპით არის მოწყობილი და თამაშიც სწორედ ერთი გაკვეთილის მოდელით ხორციელდება. გადაცემის მთავარი გმირი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი ადამიანია და ცდილობს გამოიყენოს კითხვები, რომლებიც მხოლოდ დაწყებითი ექვსი კლასის სკოლის მასალიდან არის მოცემული. სტუმარს პასუხების გამოცნობაში ხუთი მეექვსეკლასელი ეხმარება. თითოეული სწორი პასუხის შემთხვევაში მოთამაშე იგებს თანხას. მოგებული თანხით კი, გადაცემის სტუმარი მისთვის სასურველ სკოლას ეხმარება.

„**რანინა**“ - 2017 წელს შეიქმნა ორიგინალური ქართული მუსიკალური ტელეპროექტი „რანინა“. ეს არის სიმღერის კონკურსი 8-დან 14 წლამდე ასაკის მომღერლებისთვის. პროექტის მიზანია, გამოავლინოს საქართველოს წარმომადგენელი 2018 წლის საბავშვო ევროვიზიაზე. პროექტისთვის მთელი საქართველოდან შეირჩა 10 საუკეთესო

კონკურსანტი. რამდენიმე თვის განმავლობაში მათ უტარდებოდათ მასტერკლასები, როგორც პედაგოგებთან, ასევე სხვადასხვა მუსიკოსებთან. კონკურსი მოიცავს 11 ტელეეპიზოდს, რომელთა დიდი ნაწილიც ეთმობა ქართულ მუსიკას და მიზნად ისახავს სწორედ ქართული ჰარმონიის პოპულარიზებას, განსაკუთრებით პატარა ასაკის მომღერლებსა და მსყურებელში. „რანიას“ გამარჯვებულს გამოავლენს მხოლოდ პროფესიონალებისგან დაკომპლექტებული ჟიური, რომლის შემადგენლობაც ყოველ ტურზე იცვლება, მიკერძოების თავიდან აცილების და მაქსიმალურად მეტი პროფესიონალის ჩართულობის მიზნით.

„რანიას“ პირველი სეზონის საეთერო დრო 2018 წლის გაზაფხულია. იგეგმება, რომ „რანია“ გახდეს ყოველწლიური კონკურსი, რომელიც აირჩევს საქართველოს წარმომადგენელს საბავშვო ევროვიზიაზე. ასევე, დაგეგმილია, პროექტი გახდეს პროფესიონალი მომღერლების კონკურსი, რომლის საშუალებითაც აირჩევა საქართველოს წარმომადგენელი დიდების ევროვიზიაზე.

„მარტივი ლოგიკა“ - გასართობი შოუ, სადაც ყველას შეუძლია მონაწილეობა. გადაცემაში მონაწილეობენ წყვილები. წესები მარტივია: თამაშის მონაწილეებმა ორ ფოტოს შორის ლოგიკური კავშირი უნდა იპოვონ. თითოეული კითხვის გამოცნობისას იგებენ კონკრეტულ თანხას, რაც კიდევ უფრო აზარტულს ხდის თამაშს. გამარჯვებულს შესაძლებლობა აქვს, მოიგოს მაქსიმალური თანხა – 5000 ლარი.

„წიგნების თარო“ - ახალგაზრდული შოუა, რომლის თემატიკას ლიტერატურასთან ერთად სხვადასხვა შემეცნებითი სფერო წარმოადგენს. თამაშში რჩეული 32 სკოლის გუნდი მონაწილეობს. თითოეულ გუნდში სამი მე-10, მე-11 ან მე-12 კლასის მოსწავლეა. შოუ გრძელდება ერთი სატელევიზიო სეზონის განმავლობაში, ოლიმპიური სისტემით. პროექტის მონაწილეები წიგნებით, პლანშეტებით, ვაუჩერებით და სხვადასხვა პრიზით დასაჩუქრდებიან, პროექტის გამარჯვებული გუნდი კი დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯის საზაფხულო სკოლაში მიემგზავრება.

შემეცნებით-საგანმანათლებლო მიმართულების პროექტები:

„პირადი ექიმი – მარი მალაზონია“ - ყოველდღიური სამედიცინო თოქ-შოუ (პირდაპირი ეთერი), რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ემსახურება.



გადაცემის პრიორიტეტი ადამიანია. შესაბამისად, გადაცემის მიზანია, საზოგადოების განათლება და სამედიცინო კულტურის დონის ამაღლება, მაყურებლის ჩართვა ცოდნის სრულყოფის პროცესში; ჭანმრთელობის სხვადასხვა წახნაგის წარმორჩენა, ელემენტარული უნარ-ჩვევების დამკვიდრება სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ცხოვრების ხარისხის გასაზრდელად, საზოგადოების დარწმუნება – არასოდეს შეხვდეს დიაგნოზს, როგორც განაჩენს, და რომ დაავადების პროფილაქტიკა უფრო ადვილი და ხელმისაწვდომია, ვიდრე მკურნალობა.



„ფერმა“ - სასოფლო-სამეურნეო თემატიკის გადაცემა, რომელშიც მოქმედ თუ პოტენციურ ფერმერებს მიეწოდება დროული, საჭირო და სასარგებლო ინფორმაცია - რა, სად, როგორ აკეთონ და მიიღონ სასურველი შედეგი, ასევე ხორციელდება გლეხობის აგრობიზნესში და თანამედროვე ტექნოლოგიებში განათლება, აგროსექტორში მომუშავე ადამიანებისთვის ადგილობრივი თუ ევროპული ინოვაციების გაცნობა, თანამედროვე მენეჯმენტის პოპულარიზაცია, სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა რჩევებისა და რეკომენდაციების მიწოდება. 2017 წლის იანვრიდან დეკემბრის ბოლომდე ეთერში გავიდა 37 გადაცემა. 2017 წლის საეთერო სეზონზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ახალგაზრდა წარმატებულ, თუ დამწყები ფერმერების და მეწარმეების წარმორჩენაზე. 2017 წლის ოქტომბერში ტელეჟურნალი „ფერმა“ განახლებული ფორმატით გავიდა ეთერში. დაემატა რამდენიმე რუბრიკა, მათ შორის „არტი-შოკი“, შეიქმნა ფერმერობით დაინტერესებული ცნობილი ქალაქელების პორტრეტები. ახალი სეზონიდან განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა წარმატებულ მევენახეებსა და მეღვინეებზე, ასევე, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში ბიონარმოების განვითარებაზე. ტელეჟურნალმა „ფერმამ“ მედიასივრცეში შექმნა აგროგმირები და ხელი შეუწყო მათ პოპულარიზაციას.

„ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ - მივიწყებულ ქართველ მსახიობთა, რეჟისორთა, მწერალთა, მოქანდაკეთა, მუსიკოსთა და მხატვართა პორტრეტები – მათი შემოქმედებითი და პირადი ცხოვრების გახსენება.

„რეალური სივრცე“ - წარმოდგენს ღია პლატფორმას საჯარო დისკუსიისთვის, საზოგადოებისთვის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე. ეს სივრცე ოთხი წელია ერთმანეთთან აკავშირებს ადამიანებს, რომლებიც დგანან კონკრეტული პრობლემის წინაშე იმ უწყებებთან, ექსპერტებთან, ან საზოგადოების წევრებთან, რომლებსაც ამ საკითხის მოგვარება შეუძლიათ, ან პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული ხედვა გააჩნიათ.



■ **გასართობი მიმართულების პროექტები:**


„აკუსტიკა“ - შემეცნებით-მუსიკალური გადაცემა, რომლის საშუალებითაც მაყურებელს შესაძლებლობა აქვს, მოისმინოს ხალხური და ქალაქური ფოლკლორი, მონატრებული საესტრადო ჰიტები, რომანსები, საყვარელი მელოდიები ქართული კინოფილმებიდან. პროექტი მრავალფეროვანია - ხდება საქართველოს კუთხეების მუსიკალური ტრადიციების წარმოჩენა; ეთერი ეთმობა ცალკეულ მუსიკალურ მიმდინარეობებს (ხალხური, საესტრადო, ჯაზი, როკმუსიკა); ლეგენდარული ქართველი მუსიკოსების გახსენება; მაყურებელი ეცნობა მე-20 საუკუნის ქართულ მუსიკას დეკადების მიხედვით და ამ ეპოქებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკით; იმართება ახალი სიმღერების პრემიერები; ყურადღება მახვილდება თეატრისა და კინომუსიკის შედეგებზე და ხდება თანამედროვე ვერსიების გაუღერება; საუბარია, როგორ არის ასახული მნიშვნელოვანი (საერო თუ რელიგიური) დღესასწაულები და ისტორიული თარიღები მუსიკალურ ხელოვნებაში, ასევე ეთნიკური უმცირესობების მუსიკალურ ტრადიციებზე.

„გურმანია“ - მე-7 სეზონი განახლებული ფორმატით დაიწყო. გადაცემა მრავალფეროვანი სეგმენტისგან შემდგარი, დინამიკური, სანახაობრივი და შოუს




ელემენტებით დატვირთულია. გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფის მიზანია, გადაცემა გახდეს კიდევ მეტად მულტიმედიური და ინტერაქციული, დაამყაროს მჭიდრო კავშირი მაყურებელთან, შეიძინოს სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის ერთგული მაყურებელი და იქცეს კიდევ უფრო ცნობილ სატელევიზიო ბრენდად. ასევე, მაყურებლის მოთხოვნის გათვალისწინებით, სეზონის დასასრულს დაგეგმილია გურმანიას რეცეპტების კრებულის გამოცემა.

მედია წარმოების ბლოკის მიერ წარმოებული და მაუწყებლობის ფაბაში არსებული პროდუქციის მიმართულებების საათობრივი წილი კვირის ქრილში:



მედია წარმოების ბლოკის მიერ წარმოებული პროდუქციის საათობრივი წილი კვირის ქრილში:





ტელევიზია

პირველმა არხმა განაახლა ტელეფილმების წარმოების მრავალწლიანი ტრადიცია.

2017 წლის განმავლობაში წარმოების შემდგომ ფაზაშია და 2018 წელს ტელემაყურებელს შევთავაზებთ:

„სტოქსი“ - დოკუმენტური, მრავალსერიანი ფილმი, რომელიც ეძღვება საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავს. პროექტი ეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო კონტინგენტის ყოფნას საქართველოში. პროექტი მზადდება დოკუმენტურ-მხატვრულ ჟანრში, სადაც გამოყენებული იქნება დიდ ბრიტანეთსა და საქართველოს არქივებში მოძიებული ვიდეო და ფოტომასალა, ასევე მხატვრული დადგმითი სცენები მსახიობების მონაწილეობით.

„იონას საქართველო“ - შემოქმედებითი ჯგუფი „ეპოქის“ ფარგლებში დაიწყო მწერალ აკა მორჩილაძის საავტორო დოკუმენტური ფილმების სერიის „იონას საქართველო“ გადაღება. აკა მორჩილაძე მოგზაურობს საქართველოს კუთხეებსა და ქალაქებში (ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, თბილისი) და იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ მიხედვით, მოგვითხრობს XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური, სოციალური მდგომარეობის და ადამიანთა ყოფაცხოვრების შესახებ.

„წერილები მეგობრებს“ - კომპოზიტორ გია ყანჩელის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით გადაღებული ნაწარმოებია, რომელიც შედგება 25 პიესისგან და ყოველი მათგანი ეძღვნება ავტორის მეგობრებს, საზოგადოებისთვის ცნობილ და საყვარელ შემოქმედ ადამიანებს. ყოველ სეგმენტში გია ყანჩელი ესაუბრება თავის ახლობლებს - ანზორ ერქომაიშვილს, მიხეილ კილოსანიძეს, ნიკოლოზ რაჭველს, გიორგი ცაგარელს. უკრავს ეგგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს სიმფონიური ორკესტრის სიმებიანი შემადგენლობა -სოლისტი გიორგი ცაგარელი.

„გაკანსია მკვლელის თანამდებობაზე“ - დეტექტიური ჟანრის სერიალს (12 სერია) - საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული სცენარის მიხედვით იღებენ. პირველი სეზონი 12 ეპიზოდისგან შედგება. სერიალის მთავარი გმირი ახალგაზრდა საქმიანი ქალია, რომელიც, ერთი შეხედვით, აბსურდული თავდასხმის მსხვერპლი ხდება.



„უკომენტაროდ“ - - შეიძლება თუ არა, სიტყვების გარეშე აღწერო საქართველოს უახლესი ისტორია? რთული ამოცანის სცენაზე შესრულება რეჟისორმა ნიკოლოზ საბაშვილმა შეძლო. უნივერსალური ენით გადმოცემული ამბავი, სახელწოდებით „უკომენტაროდ“ თეატრალური გარემოდან ტელეეკრანზე ინაცვლებს.

„ხანმოკლე მეოცე საუკუნე“ - გადაცემა მეოცე საუკუნის შესახებ. ხანმოკლეიმდენად, რამდენადაც, ფაქტობრივად, 1914 წლიდან 1991 წლამდე გრძელდებოდა. მას წინ უძღოდა ხანგრძლივი მეცხრამეტე საუკუნე. გადაცემაში საუბარი იქნება რევოლუციებზე, ომებზე, აღმოჩენებზე, ადამიანებსა და კულტურაზე, იმ ყველაფრის შესახებ, რამაც საბოლოოდ ერთი მთლიანობა – XX საუკუნე შექმნა. თითოეული გადაცემა მოიცავს ერთ წელს, თანმიმდევრულად 1914-დან 1991 წლამდე. წამყვანის დინამიური თხრობა იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის შთამაგონებელ გარემოში, გაფორმებულია იშვიათი კადრებით არქივიდან, რაც გადაცემას დასამახსოვრებელს ხდის.

„ილუზიონი“ - რეპლიკა ჩვენი არხის ძველი საკულტო გადაცემისა, რომლის წყალობით, საბჭოთა ეპოქის ქართველი ტელემყურებელი სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მაცურებელთან შედარებით, კულტურულ კონტექსტში პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. განახლებული „ილუზიონის“ პრიორიტეტი იმ ძველი კინოფირების ჩვენებაა, რომლებსაც ეპოქალურ შედეგებთან ერთად დიდი როლი აქვს შესრულებული კინემატოგრაფიის განვითარებაში და, რომლებსაც ჩვენი მაცურებელი ან საერთოდ არ იცნობს, ან სამწუხაროდ, სათანადოდ ვერ აფასებს მათ ღირსებებსა და მნიშვნელობას.

დოკუმენტური ფილმები:


- შარდენიდან მანინგამდე
- რემისია
- ვიკინგების უკანასკნელი მოგზაურობა
- ექიმი შივაგოს ბიჭები და გოგოები
- ჭარა
- უშგული - ჩემი სამოთხე
- ჭამბაზები

რადიოგადაცემები



მიმდინარეობს რადიოს დაფორმატების პროექტი თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. განვითარებისთვის განსაზღვრული თანხის წილი დაეთმობა დილის (07:00-11:00) და საღამოს (17:00-21:00) (ე.წ. დრაივ შოუ) ზოლის განვითარებას. ბაღეში არსებული რადიოგადაცემები გადაფორმატდება და შეიქმნება რადიოს ახალი ბაღე. არსებული ადამიანური რესურსი სრულად იქნება გამოყენებული გადაფორმატებული რადიოგადაცემების განვითარებისთვის. დაემატება მინიმალური ადამიანური რესურსი თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ზოგადი სტატისტიკური პონაცემები



საზოგადოებრივი გაუწყობლის არქივი

2017 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის ყველა სამსახურმა გააგრძელა მუშაობა ჩვეულ რეჟიმში - გაიშიფრა ძველი აუდიო, ვიდეო, ფოტომასალა, ახალ მატარებელზე ჩაიწერა და შეიქმნა ანოტაციები, პარალელურად დაარქივდა უახლესი, მიმდინარე მასალა.

2017 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიწყო არქივის გაციფრისთვის პარტნიორი კომპანიების მოძიება. პირველ ეტაპზე ევროპის მაუწყებელთა კავშირთან კონსულტაციის შედეგად, საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის საჭიროებიდან გამომდინარე, რანდენიმე კომპანია შეირჩა. მენეჯმენტის გუნდთან და არქივის თანამშრომლებთან ერთად ინფორმაციის გაცვლის მიზნით, განხორციელდა რამდენიმე უცხოურ კომპანიასთან მოლაპარაკება - გასაუბრება. გასაუბრებების შედეგად გამოიყო ავსტრიული კომპანია NOA. არსებულ კომპანიას შეუძლია, სრული მომსახურება გაუწიოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივს: გაასუფთაოს, გადაწეროს ციფრულ მატარებლებზე, შექმნას „მეტადატა“ და შეინახოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის ფონდებში დაცული მასალის ყველა ტიპი. საქმის უფრო დეტალურად გასაცნობად მაუწყებელს ეწვივნენ კომპანია NOA-ს წარმომადგენლები.

დაიგეგმა შემდეგი ეტაპები: ავსტრიული ბანკისგან კარგი სასესხო პირობების მოპოვებისთვის საზოგადოებრივ მაუწყებელს და კომპანიას ურთიერთთანამშრომლობით უნდა დაეწერათ მოქმედების გეგმა, სადაც დეტალურად იქნებოდა ყველა ნაბიჯი გაწერილი. ამ საკითხის გარშემო აქტიური ურთიერთობა მიმდინარეობდა კომპანია NOA-ს, მის პარტნიორ კომპანიებსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის. პროექტის „მილიონი წუთი არქივიდან“ მოლაპარაკებებში ჩაერთო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლობა.

წლის მეორე ნახევარში, ფინანსთა სამინისტროსთან მოლაპარაკებების შედეგად, დადგა საერთაშორისო ტენდერის გამოცხადების საჭიროება ბაზრის კვლევის მიზნით. ჩატარდა საერთაშორისო ტენდერი, რომელშიც რამდენიმე დამოუკიდებელმა, საერთაშორისო კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. ყველა მათგანმა წარმოადგინა საბაზრო ფასი არქივის სრული გაციფრების, „მეტადატას“ და მასალის შექმნისთვის.

წლის ბოლოს დროებით შეწყდა არქივის გაციფრებასთან დაკავშირებული ყველანაირი აქტივობა, ვინაიდან წამოიჭრა საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის ეროვნული არქივისთვის გადაცემის საკითხი.

ასევე, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, რომელიც საზოგადოებრივმა მაუწყებლის არქივმა 2017 წელს გადადგა, არის არქივის მიმართულებების ბაზების გაერთიანება, რომლის მიზანია აუდიო, ვიდეო, ფილმო და ფოტო ფონდების საერთო ბაზის შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მაუწყებლის ყველა თანამშრომლისთვის. ახლა ისინი უკვე თავად შეძლებენ მათთვის საინტერესო მასალის მოძიებას არსებულ ბაზებში. გარდა ამისა, მომავალში მომხმარებელს საშუალება ექნება, ვებ-გვერდის მეშვეობით ელექტრონულად შეამოწმოს და გაეცნოს არქივში დაცულ მასალებს.

ბაზების გაერთიანება არ გულისხმობს ვიდეოსა და აუდიომასალის ვიზუალურ მხარეზე წვდომას, ბაზებში მოცემული იქნება მასალის შინაარსი, ავტორი, წამყვანი, რეჟისორი, ანოტაცია და სხვა დეტალები. არქივის თითქმის ყველა ბაზა გაერთიანდა, თუმცა პროგრამა არ არის ჯერჯერობით სრულყოფილი და მოქნილი- საჭიროებს დახვეწას.

არქივის სამსახურმა შექმნა „ფეისბუქგვერდი“ და „იუთუბარხი“, სადაც პერიოდულად იტვირთება საზოგადოებრივი მაუწყებლის ვიდეოარქივში დაცული უნიკალური მასალებიდან ფრაგმენტები. ამ არხების არსებობის მიზანია, წარმოდგენა შეუქმნას საზოგადოებას, თუ რამდენად უნიკალური მასალაა დაცული საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში.

გარდა მიმდინარე სამუშაოებისა, არქივის სამსახური მუდმივად აკმაყოფილებს გარე მომხმარებლის მოთხოვნებს სხვადასხვა შინაარსის მასალაზე. 2017 წელს გაყიდული მასალიდან შემოსული თანხა შეადგენს 10170.29 ლარს.

კინო-ფოტო და ვიდეოფონდებში შესრულებული სამუშაო

ვიდეოფონდის მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხული და სისტემატიზირებულია (გაშიფრული, შინაარსობრივად დამუშავებული მიმდინარე გადაცემები, ძველი ვიდეომატარებლებიდან და კინოფირებიდან ციფრულ DVCAM-DVD მატარებლებზე გადატანილი, სატელევიზიო პროგრამები და ფილმები) სულ - 3260 ჩანაწერი (1661 სთ-ზე მეტი). დაარქივდა (DVD, DVCAM მატარებლებზე) ძველი და მიმდინარე გადაცემები და სხვადასხვა ტიპის ვიდეო მასალები; ვიდეოფონდის სამონტაჟოებზე ჩაიწერა – შიდა გამოყენებისთვის, გარე ორგანიზაციებისა თუ მოქალაქეებისთვის – 841 ერთეული – 1269 საათსა და 39 წუთზე მეტი ქრონომეტრაჟის აუდიო-ვიზუალური მასალა. მათ შორის, რესტავრაცია-კორექცია ჩაუტარდა - 120 ერთეულ – 73- სთ-ზე მეტი ქრონომეტრაჟის სხვადასხვა ტიპის აუდიო-ვიდეო მასალას.

„დიდი ვიდეოფირებიდან“ (პირველი თაობის 55 მმ. Q ფორმატის ვიდეოფირებიდან) გადატანილია ციფრულ (DVCAM) მატარებლებზე 87 ერთეული აუდიოვიზუალური მასალა, დაახლოებით 54 სთ. და 53 წთ.

პარალელურად მიმდინარეობს საინფორმაციო ბაზის სრულყოფა: უზუსტობების აღმოფხვრა, თარიღების დადგენა, დაზუსტება, დამატებითი დეტალების შეტანა, კორექტურის გასწორება და სხვ.).

კინო-ფოტო ფონდი კინოფონდში-16 მმ. კინოფირებიდან, ციფრულ (DVCAM მატარებელზე გადატანილია 120 ერთეული, 287 ნაწილი (უხმო და ხმოვანი) 47:50 სთ. მასალა. აქედან: უნიკალური მონიტორული გადაღება: 14 ერთეული, 73 ნაწილი (სპორტული და მუსიკალური სატელევიზიო გადაცემები) 12 სთ. და 30 წთ. გრძელდება კინოკატალოგის ელექტრონულ ბაზაში შეტანა, დამუშავებულია 368 კოლოფი კინომასალა (გაწმენდა; შეწებების, პერფორაციები და რაკორდების აღდგენა)

ფოტოფონდში დასკანერებულია და საინფორმაციო ბაზაში შეტანილია 1696 ფოტოანაბეჭდი. მიმდინარეობს შიდა და გარე მომხმარებლის მომსახურება.

აუდიოფონდი

აუდიოარქივში მომუშავე 8 სტუდიამ კატალოგი შეავსო და სერვერში გადაწერა 840 საათის და 14 წუთის მასალა, რაც უდრის 560,7 GB-ის მოცულობას. გაკეთდა MP3 ფორმატში ჩაწერილი მასალის, 13000 ერთეულის ანოტირება.

CD ფირებიდან სერვერზე გადავიდა: “ხმების ისტორია” და “თეატრალური შეხვედრები”. შესაბამისად გაკეთდა კატალოგი; 8 MD-ს მიენიჭა ნომრები და გაფორმდა (სპექტაკლები). 10 CD გადაიწერა და ინფორმაცია შევიდა კატალოგში.

აღნიშნულ მასალაზე ინფორმაცია ზუსტდება კატალოგში და იქმნება მეტამონაცემები. დაზღვევის მიზნით, სერვერიდან გადაიწერა მასალა DVD (84 ერთეული) და XDVCAM (20 ცალი) მატარებლებზე.

აუდიოარქივი მოემსახურა საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოსტუდიებს მოთხოვნის შესაბამისად და მიაწოდა სასურველი მასალა. გარდა ამისა, აუდიოარქივმა მომსახურება გაუწია გარე მომხმარებლებს.

საინფორმაციოს არქივის განყოფილება

2017 წელს გაიციფრა, დაარქივდა შემდეგი ტიპის მასალა:

ეთერში გასული მასალა - სიუჟეტები, კადრ-სინქრონები და გადაფარვები-დეტალურად გაშიფრული და დაარქივებულია 45377 ფაილი, რომელმაც შეადგინა 725 საათი; შევსებულია და საძიებო ბაზაშია შეტანილი 17042 ბარათი.

შავი მასალა - გაშიფრული და დაარქივებულია მასალა 99 (DVC-ის) კასეტაზე, რაც შეადგენს 303 საათს; შევსებულია და საძიებო ბაზაშია შეტანილი 869 ბარათი. დაარქივებულია და შევსებულია 142 ბარათი „მოამბის“ არქივის შესაბამის პროგრამაში. გარდა ამისა, შევსებულია 6 ცალი სამსაათიანი კასეტა პირდაპირი ეთერის ჩანაწერი.

საინფორმაციო არქივი ემსახურება „მოამბისა“ და პროგრამების თანამშრომლებს და სამსახურებს მოთხოვნის შესაბამისად, აწვდის მათ მასალას და ინფორმაციას კონტენტის მომზადებისა და ანალიზისთვის. გარდა ამისა, მომსახურებას უწევს გარე მომხმარებლებს წერილობითი მომართვის საფუძველზე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი წლის ბიუჯეტი

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი

პერიოდი: 01.01.2018 -31.12.2018

ვალუტა: ლარი

	ხაზინა	ბანკი	სულ
სამეურვეო საბჭო	657,645	12,000	669,645
გენ . დირექტორის აპარატი და დაქვემდებარებული სამსახურები	1,543,140	22,400	1,565,540
ახალი და მიმდინარე ამბები	12,898,103	2 ,157,530	15,055,633
მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი	4,396,484	556,089	4,952,573
მედიაწარმოების ბლოკი	7,604,222	1 ,073,403	8,677,625
წარმოება და ტექ . უზრუნველყოფის ბლოკი	10,046,766	634,199	10,680,965
ადმინისტრაციის და ფინანსების ბლოკი	6,459,974	121,223	6,581,197
სხვა გადასახდელები	1,036,667	1 ,035,733	2,072,400
მთლიანი ბიუჯეტი:	44,643,000	5,612,577	50,255,577

გენერალური დირექტორი:

ვასილ მაღლაფერიძე

26.12.2017

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ გოგელია

26.12.2017

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულება

2017 წელი საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის იყო გრძელვადიანი განვითარებისთვის საფუძვლის მომზადების წელი. კერძოდ, მაუწყებლის ხელმძღვანელობამ მთავარ ამოცანად დაისახა ტელევიზიის ინფრასტრუქტურული განახლება და სრული ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიარაღება.

ამ მიმართულებით შემუშავდა საფუძვლიანი, მრავალწლიანი გეგმა, რომლის ნაწილის განხორციელება 2017 წელს მოხერხდა, ხოლო დიდი ნაწილი შემდეგ წლებშია დაგეგმილი.

2017 წელს, წინა წლების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, მთლიან ხარჯებში საინვესტიციო ხარჯების წილი გაორმაგდა და 11%-ს მიაღწია. მომდევნო წლებში კი ამ მაჩვენებლის 20%-ის დონეზე აყვანაა დაგეგმილი, ზრდა მოიცავს ახალი ტელევიზიის მშენებლობას.

2017 წელს მიღებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება:

- მოხდა ტელევიზიის სრული ტექნიკური გადაიარაღების გეგმის მომზადება;
- საბოლოოდ მიღებულია გადაწყვეტილება ტელევიზიის ახალი შენობის მშენებლობის შესახებ;
- დაიწყო ტელევიზიის ახალი შენობის დაპროექტების სამუშაოები;
- გადაწყდა ტელევიზიის გადატანა სხვა მისამართზე, არსებული ქონების რეალიზაცია კი დააფინანსებს ახალი ტელევიზიის მშენებლობის და ტექნიკური გადაიარაღების მნიშვნელოვან ნაწილს;
- წარმოებული ნაყოფიერი მოლაპარაკებების შედეგად ახალი შენობის მშენებლობისთვის ტელევიზიას სახელმწიფოსგან სარგებლობაში გადმოეცა 2 ჰექტრამდე მიწა;
- განახლდა ავტოპარკი;
- განახლდა ტელევიზიის კამერა-პარკი და შეძენილია პირდაპირი ჩართვის აპარატურა;
- სრულად განახლდა და აღიჭურვა ნიუსრუმი;
- დაიწყო რეგიონული ოფისების ქსელი შექმნა, პირველი ოფისისთვის უძრავი ქონება შეძენილია ქალაქ ბათუმში;

შესაბამისად, 2017 წლის ბიუჯეტი ორიენტირებული იყო სწორედ ამ საკითხების გადაჭრაზე. გარდა ამისა, პარალელურ რეჟიმში გაგრძელდა კონტენტის გაძლიერება სხვადასხვა პროექტებით.

ამდენად, გასული წლის ფინანსური გეგმის მთავარი მახასიათებელი და ვექტორი იყო კონტენტის წარმოების ხარჯების შენარჩუნების პარალელურად, საინვესტიციოდ თანხების მაქსიმალური მობილიზება.

ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის შესაბამისად, ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც მისი საქმიანობისათვის საჭირო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს წარმოადგენს. გარდა სახელმწიფო

ასიგნებებისა, საზოგადოებრივი მაუწყებელი ასევე გარკვეული ფულადი სახსრების აკუმულირებას ახდენს საკუთარი კომერციული საქმიანობიდან. საზოგადოებრივი მაუწყებლის 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილმა ასიგნებამ შეადგინა 39,443 ათასი ლარი. დამატებით კომერციული საქმიანობიდან 2017 წლის განმავლობაში მიიღო 2,880 ათასი ლარი. შესაბამისად, მაუწყებლის მიერ 2017 წელს ჯამურად მიღებულმა ფულადმა სახსრებმა 42,323 ათასი ლარი შეადგინა.

გარდა 2017 წელს მიღებული შემოსავლისა, საზოგადოებრივ მაუწყებელს გააჩნდა წინა პერიოდში დაგროვებული ფულადი რესურსი 4.144 ათასი ლარის ოდენობით. ჯამში, 2017 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 46,377 ათას ლარს.

2017 წლის განმავლობაში სრულად იყო ათვისებული სახელმწიფო ასიგნების ბიუჯეტი, ხოლო კომერციული შემოსავლებიდან აკუმულირებული თანხიდან გაიხარჯა 6,613 ათასი ლარი. ამდენად, 2017 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გახარჯულმა მთლიანმა თანხამ შეადგინა 46 მილიონ 56 ათასი ლარი.

შესაბამისად, 2017 წლის ბიუჯეტის გეგმა და გაწეული საკასო ხარჯის შედარება შემდეგნაირად გამოიყურება:

ძირითადი მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება შემდეგია:


	გეგმა	ფაქტი	სხვაობა
სამეურვეო საბჭო	591,645	553,096	38,549

2017 წლის ბიუჯეტის შესრულება (ათასი ლარი)

ბიუჯეტის გეგმა	ფაქტობრივი შესრულება	შესრულება %
46.377	46.056	99,3%

	გეგმა	ფაქტი	სხვაობა
სამეურვეო საბჭო	591,645	553,096	38,549
მონიტორინგის სამსახური	61,440	61,440	0
ახალი და მიმდინარე ამბები	10,966,271	11,005,232	(38,961)
მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი	4,126,351	4,264,944	(138,594)
მედიაწარმოების ბლოკი	6,625,854	6,008,393	617,460
წარმოება და ტექ.უზრუნველყოფის ბლოკი	14,995,344	15,246,501	(251,157)
ადმინისტრაციის დაფინანსების ბლოკი	6,875,531	6,766,290	109,241
სხვა გადასახდელები	2,134,983	2,150,694	(15,711)
მთლიანი ბიუჯეტი:	46,377,418	46,056,591	320,827


ჯამური მაჩვენებლით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის შესრულების მთლიანმა მაჩვენებელმა 99,3% შეადგინა. თუმცა ცალკეული მიმართულებების მიხედვით ადგილი ჰქონდა როგორც გეგმის გადაჭარბებას, ისე დანაკლისს შესრულებაში. სრულყოფილი სურათი წარმოდგენილია შემდეგ დიაგრამაზე:



უფრო დეტალურად ბიუჯეტის მუხლობრივი ხარჯები და შესრულების მაჩვენებლები მუხლების მიხედვით წარმოდგენილია დანართი 1-ში.

შრომის ანაზღაურება


2017 წლის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ შრომის ანაზღაურებაზე განეულმა ხარჯებმა 25 248 912 ლარი შეადგინა, რაც 2016 წლის მაჩვენებელს 2 970 419 ლარით, ანუ 13%-ით აღემატება.



2017 წელს, წინა წლის მსგავსად, ადგილი ჰქონდა ბიუჯეტის კორექტირებას, რომლის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენდა სახელფასო ფონდი. შედეგად, თავდაპირველად დაგეგმილ ბიუჯეტთან შედარებით, 2017 წელს ადგილი ჰქონდა შრომის ანაზღაურების ჯამური თანხის 4%-იან ზრდას. ვითარება მიმართულებების მიხედვით შემდეგია:

	გველა	ფაქტი	სხვაობა	სხვაობა%
სამეურვეო საბჭო	509,044	591,645	82,601	-14
მონიტორინგის სამსახური	61,440	61,440	-	0
ახ. და მიმდ. ამბების ბლოკი	5,773,224	5,707,068	-58,376	1
მედიის და კომუნიკ. ბლოკი	2,154,542	2,110,152	-36,610	1.7
მედიაწარმოების ბლოკი	4,718,812	4,855,704	105,773	-2.2
წარ და ტექ. უზრუნ. ბლოკი	8,671,679	8,628,835	-35,064	0.4
ადმინ. და ფინანსების ბლოკი	3,360,171	3,337,459	-14,932	0.4
ჯამური:	25,248,912	25,292,303	43,391	-0.2

მიმართულებების მიხედვით შემდეგი სურათია:



კონტენტის წარმოება

საზოგადოებრივი მაუწყებლის კონტენტის წარმოება სამი ძირითადი წყაროდან ხდებოდა: ახალი ამბები, მედიაწარმოების ბლოკის გადაცემები და მექანიკური პროდუქცია.

■ საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ამბების ბლოკის საქმიანობასთან დაკავშირებულმა 2017 წლის ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა 11 მლნ 5 ათასი ლარი. აქედან 52,5% გახარჯულ იქნა შრომის ანაღურებაზე. 10.1 % მოხმარდა სამივლინებო თანხებს, 33,8 % სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ხარჯებს. დანარჩენი 3,7% სხვადასხვა ხარჯებს, რომლიდანაც მნიშვნელოვანი წილი მოდის სიგნალის გადმოგორება და ინფორმაციის მოწოდების ხარჯებზე.

2017 წლის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საინფორმაციო სამსახურისთვის ინფორმაციის მოწოდებაზე გახარჯულმა თანხამ 452 ათას ლარამდე შეადგინა.

■ მედიაწარმოების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 6 მლნ 8 ათასი ლარი.

ანაზღაურება - 35,9%

მივლინება - 4,5 %

გადაცემის მომზადებასთან დაკავშირებული შესყიდვები (მათ შორის დეკორაცია) - 59,6%

■ მექანიკური პროდუქციის შესყიდვასთან და გახმომანებასთან დაკავშირებულმა ჯამურმა ხარჯმა შეადგინა 971 ათასი ლარი.

2017 წლის განმავლობაში “კონტენტის” შექმნასთან დაკავშირებულმა ხარჯმა შეადგინა 17 მლნ 984 ათასი ლარი. დეტალური სურათი იხილეთ წარმოდგენილ ცხრილში:

კონტენტის შექმნასთან დაკავშირებული ხარჯები	2017
ახალი ამბების ბლოკის ხარჯი	11,005,232
News შრ.ანაზღაურება	5,773,224
News მივლინება	1,108,566
სპორტი (შრ. და მივლინების გარეშე)	2,999,948
სხვა	1,123,494
მედიაწარმოების ბლოკი	6,008,393
აქედან შრ.ანაზღაურება	2,154,542
აქედან მივლინება	271,106
გადაცემის მომზადებასთან დაკავშ. ხარჯები (შესყიდვები&დეკორაცია, სხვა)	3,582,745
მექანიკური პროდუქცია	971,199
ჯამური კონტენტი	17,984,825

პროგრამული პრიორიტეტების მიხედვით შექმნილი კონტენტის განაწილება იხილეთ დანართი 2-ში.


კაპიტალური ხარჯები

2017 წლის ბიუჯეტი თვისობრივად განსხვავდებოდა წინა წლების ბიუჯეტებისგან იმდენად, რამდენადაც, დაიწყო თანხების გადამისამართება კაპიტალურ პროექტებში. ჯამში 2017 წელს გაწეულ იქნა 5 105 606 ლარის კაპიტალური ხარჯი, რამაც მთლიანი ბიუჯეტის 11% შეადგინა, რაც ორჯერ აღემატება 2016 წლის მონაცემს.

დეტალური სურათი კაპიტალური ხარჯების მიმართულებით შემდეგია:

CAPEX 2017	ხაზინა	ბანკი	ჯამი
კამერები	2,849,400	-	2,849,400
ავტოპარკისგანახლება	-	728,832	728,832
პირდაპირი ჩართვების აპარატურა	471,471	-	471,471
სამშ -სარემონტო სამუშაოები	107,894	130,381	238,275
რეგიონული ოფისისთვის ფართის შეძენა (ბათუმი)	212,000		212,000
სამონტაჟო კომპიუტერი (დესკტოპი)	148,072	-	148,072
ჰარისის სისტემის მოდერნიზაცია (ნიუსრუმი)	123,530	-	123,530
ვიდეო აუდიო ტექნიკის სათადარიგო ნაწილები	110,844	-	110,844
საოფისე ტექნიკა	107,611	-	107,611
კონდიციონერების და სხვა მანქ. დანადგ. შეძენა/რემონტი	71,564	15,837	87,401
სპეცგანათება	28,170	-	28,170
ჯამური კაპ. ხარჯები	4,230,556	875,051	5,105,606

კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების თანაფარდობა 2017 წელს წინა წელთან შედარებით შემდეგია:



კაპიტალური პროექტებიდან აღსანიშნავია რამდენიმე მათგანი:

ახალი შენობა - 2017 წლის 8 აგვისტოს მაუწყებელმა არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვაზე კონკურსი გამოაცხადა, რის შემდეგაც, შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში აიტვირთა საკონკურსო დოკუმენტაცია, შესყიდვის ღირებულებით 1.032.048 ლარი.

გამარჯვებული პროექტი ოთხი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით შეირჩა: ფუნქციური მხარე, პრეტენდენტის გამოცდილება, პერსონალის გამოცდილება და მიწოდების ვადა, მეხუთე კრიტერიუმი – შენობის დიზაინი - საზოგადოებამ ხმის მიცემის პრინციპით შეარჩია.

პირველი არხის ახალი შენობის არქიტექტურული დიზაინის შესარჩევ კონკურსში „თბილქალაქპროექტის“ პროექტმა გაიმარჯვა. სამშენებლო ტენდერი 2018 წელს გამოცხადდება, ხოლო მშენებლობა, სავარაუდოდ, 2020 წლისთვის დასრულდება.

ახალი ინტეგრირებული ნიუსრუმი - 150 თანამშრომელზე მოეწყო თანამედროვე, კარგად აღჭურვილი ნიუსრუმი.

კამერები - საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2017 წელს შეიძინა 41 ერთეული მაღალი აღქმადობის სატელევიზიო კამერა, რომლითაც დაკომპლექტდა საინფორმაციო სამსახური, გადაცემები და ანონსების ჯგუფი. აპარატურაში მაუწყებელმა 2 849 400 ლარი გადაიხადა.

პირდაპირი ჩართვების აპარატურა - საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2017 წელს შეიძინა პირდაპირი ეთერის მობილური სატელევიზიო გადამცემ-მიმღები სისტემის 10 ერთეული კომპლექტი და გადაიხადა 471 471 ლარი.

IT ინფრასტრუქტურა - 2017 წელს დასრულდა ელექტრონული ტენდერი ნიუსრუმის სისტემის დანერგვისთვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურის მოსამზადებლად და შეძენილია ქსელური მოწყობილობები - 195 კომპიუტერი.

ავტოპარკის განახლება - 2017 წელს პირველმა არხმა მაღალი გამავლობის, „სუბუკი ვიტარას“ მარკის 20 ახალი მსუბუქი ავტომობილი შეიძინა.

ავტომობილების შეძენაზე ელექტრონული ტენდერი იყო გამოცხადებული, მასში

მონაწილეობდა ორი კომპანია – სს „ფრანს ავტო“ და შპს „ჯი-თი მოტორსი“. ტენდერში „ჯი-თი მოტორსმა“ გაიმარჯვა.

ერთი ავტომობილი 36 441 ლარი და 60 თეთრი დაჯდა, რაც რეალურ საბაზრო ფასზე 12 ათასი ლარით ნაკლებია.


გარდა ამისა, პირველმა არხმა დამატებით კიდევ 15 ახალი ავტომობილი – გერმანიაში წარმოებული, 2017 წლის „ფორდ ფიესტა“ შეიძინა. მესამე კლასის 15 მსუბუქი ავტომობილის შესაძენად პირველმა არხმა ტენდერი 2017 წლის 11 დეკემბერს გამოაცხადა. ტენდერში ხუთი კომპანია მონაწილეობდა. ავტომობილებზე ყველაზე დაბალი ფასი კი პირველ არხს შპს „ჯი-თი მოტორსმა“ შესთავაზა.

15 ავტომობილის შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 597 990 ლარი იყო, შპს „ჯი-თი მოტორსმა“ საბოლოო ფასი 513 999 ლარი დააფიქსირა (რომელშიც შედის ავტომობილის ღირებულება, 100 000 კმ გარბენზე სერვისული მომსახურება და საწვავის ხარჯი). ვაჭრობის შედეგად, ეკონომიამ 83 991 ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ავტომობილები ტენდერის შედეგად შეძენილია საბაზროსთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებ ფასად, დაახლოებით 17%-ით იათად. დანაზოგმა შეადგინა დაახლოებით 290 ათასი ლარი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ავტომობილების ექსპლუატაციის ხარჯიც, რომელშიც შედის შეკეთების, საწვავის ხარჯები და ა.შ.

კომერციული საქმიანობიდან საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2,879 ათასი ლარის შემოსავალი მიიღო, რომელიც წყაროების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:



წლის დასაწყისში კომერციული სახსრების საწყისი ნაშთი შედგენდა 4,144 ათას ლარს, წლის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციების შედეგად პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა ნაშთი 402 ათასი ლარი ოდენობით.

სხვა შემოსავლებში გაზრდილი მაჩვენებელი უკავშირდება 2017 წელს საბავშვო ევროვიზიის საქართველოში ჩატარებას. პროექტის განხორციელებისთვის ევროპის მაუწყებელთა კავშირის მიერ საზოგადოებრივ მაუწყებელს მიზნობრივად ჩაერიცხა 980 ათასამდე ლარი, რაც მთლიანად მოხმარდა ევროვიზიის საბავშვო კონკურსს, თუმცა ფიქსირდება, როგორც ტელევიზიის შემოსავალი.

კომერციული სახსრები 2017 წლის განმავლობაში შემდეგ ცვლილებას განიცდიდა:

შემოსავლები	იან.	თებ.	მარტ.	აპრ.	მაისი	ივნ.
სარეკლამო შემოსავლები	29,422	7,801	60,309	35,746	131,430	87,461
იჯარიდან შემოსავალი	28,205	37,969	34,904	30,866	22,522	40,137
ტექნიკის გაქირავება	-	-	3,691	5,253	5,000	3,611
სხვადასხვა შემოსავალი	18,280	100,781	49,325	76,999	58,040	55,109
ჯამი:	75,907	146,551	148,229	148,864	216,992	186,318
ნაშთი პერიოდის დასაწყისში:	4,144,206	4,171,483	4,246,562	4,333,126	4,407,334	4,461,360
ფულადი სახსრების ცვლილება:	27,277	75,080	86,564	74,208	54,027	118,189
ნაშთი პერიოდის ბოლოს:	4,171,483	4,246,562	4,333,126	4,407,334	4,461,360	4,579,549

შემოსავლები	ივლ.	აგვ.	სექტ.	ოქტ.	ნოემ.	დეკ.	სულ 2017
სარეკლამო შემოსავლები	13,641	54,156	80,319	197,301	107,024	43,527	848,137
იჯარიდან შემოსავალი	17,741	29,962	34,516	32,180	31,845	32,811	373,658
ტექნიკის გაქირავება	-	11,539	200	2,000	1,300	1,000	33,594
სხვადასხვა შემოსავალი	50,396	52,546	486,560	49,224	135,443	491,518	1,624,220
ჯამი:	81,777	148,202	601,596	280,705	275,613	568,856	2,879,609
ნაშთი პერიოდის დასაწყისში:	4,579,549	4,478,214	4,085,430	4,291,524	4,460,519	3,568,660	
ფულადი სახსრების ცვლილება:	-101,335	-392,784	206,094	168,996	-891,859	-3,166,427	
ნაშთი პერიოდის ბოლოს:	4,478,214	4,085,430	4,291,524	4,460,519	3,568,660	402,233	

■ **ხასიათაობა**

2017 წელს შესყიდვების მიმართულებით სულ დადებულია 891 ხელშეკრულება, აქედან 179 საბიუჯეტო სახსრებიდან და 712 საკუთარი სახსრებიდან.

შესყიდვების ტიპის მიხედვით, ხელშეკრულებების სტრუქტურა შემდეგია:

საბიუჯეტო სახსრებიდან - სულ 179 ხელშეკრულება, მათ შორის:

ელექტრონული ტენდერი - 56;

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი - 21;

კონსოლიდირებული ტენდერი - 17;

კონკურსი - 1;

გამარტივებული შესყიდვა - 84;

საკუთარი სახსრებიდან - სულ 712 ხელშეკრულება, მათ შორის:

ელექტრონული ტენდერი - 19;

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი - 3;

გამარტივებული შესყიდვა - 690;

ჯამში - 891 ხელშეკრულება, მათ შორის

ელექტრონული ტენდერი - 75;

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი - 24;

კონსოლიდირებული ტენდერი - 17;


კონკურსი - 1;

გამარტივებული შესყიდვა - 774;

შესყიდვების ტიპების მიხედვით, საბიუჯეტო სახსრებიდან და კომერციული შემოსავლებით აკუმულირებული თანხებიდან, დადებულია შემდეგი მოცულობის გარიგებები:

	ხაზინა	ბანკი	ჯამი
ელექტრონული ტენდერი	8,087,383	1,617,827	9,705,210
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	353,336	180,582	533,918
კონსოლიდირებული ტენდერი	1,158,075	-	1,158,075
კონკურსი	1,265,557	-	1,265,557
გამარტივებული შესყიდვა	3,663,152	577,253	4,240,405
ჯამი	14,527,503	2,375,662	16,903,165

თანხობრივად კი შესყიდვების ტიპის მიხედვით ხელშეკრულებების განაწილება შემდეგია:



2017 წელს განხორციელებული ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერების ჩატარების შედეგად დარჩენილმა ეკონომიამ საერთო ჯამში შეადგინა - 2 045 555 ლარი (შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებებს გამოკლებული სახელშეკრულებო ღირებულებები).



საზომადლოებრივი მაუწყებელი
2018